საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 19 ივნისი, 2014 წელი.

№117 (7498)

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ცუდილებით და ჯიბეებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ადრეანალინი მეორე ტურისთვის

3

ნამდაუწუმ რატომ სცემენ ნუგზარ წიკლაურს?

მამუკა არეშიძე:

5

თუ ჩვენ გვინდა, რომ დემოკრატიის მშენებლობაზე და სახელმწიფოებრიობაზე ვილაპარაკოთ...

2

როგორ შეცვლის არჩევნების შედეგები ქართულ პოლიტიკურ ლანდშაფტს

საღ დაიკარგა სალი აზრი?

4



წითლები, ლურჯები და ნაცრისფრები,

7

ანუ როგორც შენ იტყვი, ვანო უფროსო!

მდიდრები ამა ქვეყნისა

7

ცაში აფრენილი სიამაყე

9

„იმედის“ ეგზიტპოლებმა ხელისუფლება მწარედ მოატყუა

8

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

საქართველოს სომხეთის პრეზიდენტი ესტუმრა



საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი სომხეთის პრეზიდენტ სერჟ სარგსიანს შეხვდა. შეხვედრა ავლაბრის სასახლეში ჯერ პირისპირ, ხოლო შემდეგ გაფართოებული ფორმატით გაიმართა.

საქართველოს და სომხეთის პრეზიდენტებმა შეხვედრისას ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის ფართო სპექტრი განიხილეს და შემდგომი თანამშრომლობის პერსპექტივები დასახეს.

გარდა ამისა შეხვედრაზე მხარეებმა ეკონომიკურ და ინფრასტრუქტულ პროექტებზეც ისაუბრეს, პრეზიდენტებმა ასევე ყურადღება გაამახვილეს ქვეყნებს შორის ტურიზმისა და კულტურის სფეროში თანამშრომლობის პერსპექტივებზე.

საქართველოს პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა სომხეთის პრეზიდენტს ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებაში შეტანილი წვლილისათვის.

შეხვედრის დასრულების შემდეგ საქართველოს და სომხეთის პრეზიდენტებმა მედიისთვის ერთობლივი განცხადებები გააკეთეს.

* * *

საქართველოსა და სომხეთს შორის ურთიერთობები ღრმავდება და პოზიტიური დინამიკით ვითარდება, — ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა სომეხ კოლეგა სერჟ სარგსიანთან პირისპირ შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისივე განმარტებით, საქართველოს და სომხეთს მომავალთან დაკავშირებით ერთნაირი ხედვა აქვს.

„მნიშვნელოვანია ის, რომ პრეზიდენტად არჩევის შემდეგ რამდენიმე თვეში მე ვესტუმრე ერევანს, სადაც იყო უაღრესად თბილი შეხვედრა. უაღრესად მნიშვნელოვანია ისიც, რომ ჩვენი ახლო მეზობელი და მეგობარი სომხეთის პრეზიდენტი პირველივე წელს ჩამოვიდა ოფიციალური ვიზიტით თბილისში. ამით ხაზგასმა ხდება ჩვენს ქვეყნებს შორის ახლო თანამშრომლობის. დღეს, ახალი ნაბიჯების გადადგმის წინ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს შეხვედრა. როგორც იცით, საქართველო 27 ივნისს ხელს მოაწერს ასოცირების შესახებ ხელშეკრულებას, ხოლო ჩვენი მეზობლები სულ მალე გაწევრიანდებიან საბაჟო კავშირში. მინდა, ხაზი გავუსვა, რომ ამ ნაბიჯებს ექნება მხოლოდ პოზიტიური შედეგი ორივე ქვეყნის მომავალისთვის. ჩვენ ყველა ამ მიმართულებით გვაქვს ერთნაირი ხედვა“, — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

ამასთან, საქართველოს პრეზიდენტმა უშუალოდ ორი ქვეყნის სავაჭრო ურთიერთობებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ მომავალში ამ ურთიერთობებს კიდევ უფრო მეტი იმპულსი მიეცემა.

„ქართული ოცნება“ საკრებულოებში არჩეული დეპუტატების სტატისტიკას აქვეყნებს

კოალიციის ინფორმაციით, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ბოლო მონაცემებით, საკრებულოში არჩეული დეპუტატების რაოდენობა საქართველოს მასშტაბით შემდეგია:

1. საარჩევნო ბლოკი „ქართული ოცნება“ — 1391 დეპუტატი (67,6%),
2. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა — 281 დეპუტატი (13,7%),
3. ნინო ბურჯანაძე — ერთიანი ოპოზიცია — 148 დეპუტატი (7.2%),
4. საქართველოს პატრიოტთა ალიანსი — 47 დეპუტატი (2,3%),
5. საქართველოს ლეიბორისტული პარტია — 31 დეპუტატი (1,5%0),
6. არასაპარლამენტო ოპოზიცია (კახა კუკავა, ფიქრია ჩიხრაძე) — 15 დეპუტატი (0,7%),
7. საინიციატივო ჯგუფი — 134 დეპუტატი (6,5%),
8. სხვა — 11 დეპუტატი (0,5%).

რაც შეეხება არჩეული მაჟორიტარების სტატისტიკას საქართველოს მასშტაბით, კოალიციის ინფორმაციით, ასე გამოიყურება:

1. კოალიცია „ქართული ოცნება“ — 811 მაჟორიტარი (77.31%),
2. საინიციატივო ჯგუფი — 128 მაჟორიტარი (12,20%),
3. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა — 64 მაჟორიტარი (6,1%),
4. ნინო ბურჯანაძე — ერთიანი ოპოზიცია — 28 მაჟორიტარი (2,67%),
5. არასაპარლამენტო ოპოზიცია (კახა კუკავა, ფიქრია ჩიხრაძე) — 4 მაჟორიტარი (0,38%),
6. საქართველოს პატრიოტთა ალიანსი — 3 მაჟორიტარი (0,29%),
7. ქართული პარტია — 3 მაჟორიტარი (0,29%),
8. საქართველოს ძალოვან ვეტერანთა მოძრაობა — 2 მაჟორიტარი (0,19%),

9. ლეიბორისტული პარტია — 1 მაჟორიტარი (0,1%),
10. ქდპ — 1 მაჟორიტარი (0,1%),
11. სხვა — 4 მაჟორიტარი (0,38%).

„თბილისის საკრებულოს შემადგენლობაში საარჩევნო ბლოკი „ქართული ოცნება“ წარმოდგენილი იქნება 74%-ით, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა — 14%, ნინო ბურჯანაძე — ერთიანი ოპოზიცია — 6%, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი — 4%, საინიციატივო ჯგუფი — 2%.

არჩეული მაჟორიტარებით საარჩევნო ბლოკი „ქართული ოცნება“ თბილისის საკრებულოში წარმოდგენილი იქნება 24 მაჟორიტარით (96%), საინიციატივო ჯგუფი — 1 მაჟორიტარით (4%)“, — აცხადებენ კოალიციაში.

ⓘ ინფორმაცია

ირაკლი ღარიბაშვილი რიჩარდ ნორლანდს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს საქართველოში რიჩარდ ნორლანდს შეხვდა.

ამერიკის ელჩმა საქართველოს მთავრობის მეთაურს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დემოკრატიულ და მშვიდ გარემოში ჩატარება მიულოცა.

შეხვედრა მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა.

მომავალ კვირას პარლამენტის პლენარული სხდომები არ განახლდება

უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო მუშაობას იმ რეჟიმში განაგრძობს, რა რეჟიმშიც 15 ივნისის არჩევნებამდე მუშაობდა. ივლისში კი რიგგარეშე პლენარული სხდომები გაიმართება. ამის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება ბიუროს გუშინდელ სხდომაზე გახდა ცნობილი.

15 ივნისის არჩევნებამდე პარლამენტს საპარლამენტო სხდომები შეჯერებული ჰქონდა. ეს რეგლამენტის გათვალისწინებით მოხდა, რომლის მიხედვითაც, არჩევნებამდე ერთი თვით ადრე, როგორც წესი, პარლამენტი არ მუშაობს.

— 15 ივნისის არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე, კონსულტაციები მქონდა პარლამენტში არსებულ პოლიტიკურ ჯგუფებთან — უმრავლესობაში შემავალ ფრაქციებთან და უმცირესობასთან. საერთო პოზიცია არის, რომ რაკი ბევრ რაიონსა და ქალაქში მეორე ტური ტარდება, ხოლო იქ, სადაც მეორე ტური იმართება, არის ამომრჩეველთა ნახევარზე მეტი, ამიტომ პარლამენტის პლენარული სხდომები კვლავ შეჩერდება. პარლამენტი მუშაობას იმ რეჟიმში გააგრძელებს, რა რეჟიმშიც იყო 15 ივნისამდე. მომავალი კვირის განმავლობაში პლენარული სხდომები არ გაიმართება, ხოლო ივლისში რიგგარეშე სხდომების რეჟიმში დავუბრუნდებით ყველა იმ საკითხს რაც არის წარმოებაში, — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა ბიუროს სხდომაზე.

ინტერპრესი

ⓘ ეკო

როგორ შეცვლის არჩევნების შედეგები ქართულ პოლიტიკურ ლანდშაფტს

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დასრულებისთანავე დაიწყო მსჯელობა იმაზე, თუ როგორ შეცვლის ეს არჩევნები საქართველოს პოლიტიკურ ლანდშაფტს: ამ არჩევნების შედეგები ნიშნავს იმას, რომ „ქართულმა ოცნებამ“ მასობრივად დაკარგა ამომრჩეველი, თუ, პირიქით, ეს არჩევნები მომასწავებელია „ნაციონალური მოძრაობის“ რადარიდან გაქრობისა? რა როლს შეასრულებს ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში კიდევ ორი პარტია, რომლებმაც შეძლეს საარჩევნო ბარიერის გადალახვა?

არჩევნების შედეგების ინტერპრეტაციისას უმრავლესობისა და ოპოზიციის წარმომადგენლები სხვადასხვა მონაცემებზე ამახვილებენ ყურადღებას და განსხვავებული დასკვნები გამოაქვთ.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, მაგალითად, არჩევნების შედეგები არსებული კურსისა და მმართველი პარტიის მხარდაჭერად გამოაცხადა. მთავრობის სხდომაზე გამოსვლისას მან ყურადღება გაამახვილა მაჟორიტარული წესით გამარჯვებულ კანდიდატებზე და აღნიშნა, რომ **„ქართული ოცნების“ მთავარი კონკურენტის,“ნაციონალური მოძრაობის“, რეიტინგს ყველაზე უკეთ სწორედ აქ მიღებული შედეგები ასახავს:**

„რაც შეეხება იმ ოპოზიციურ პარტიებს, რომლებსაც მეორე ადგილის პრეტენზია აქვთ, ვგულისხმობ „ნაციონალურ მოძრაობას“, მათ მაჟორიტარი კანდიდატებიდან მხოლოდ 6,1%-ის გაყვანა შეძლეს. ეს არის ის, რაზეც ჩვენ ვსაუბრობთ, რომ მათი რეალური რეიტინგი არის 6%“.

სხვანაირად უყურებენ არჩევნების შედეგებს „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები. რადიო „თავისუფლებასთან“ საუბარში „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა, განაცხადა, რომ არჩევნების შედეგად მისმა პარტიამ მდგომარეობა განიმტკიცა, „ქართული ოცნების“ პოზიციები კი, პირიქით, შესუსტდა. ზურაბ ჭიაბერაშვილის თქმით, ამ არჩევნებმა აჩვენა, თუ როგორ გაუცრუვდა მოსახლეობას მმართველი პარტიის იმედი. მანვე აღნიშნა, რომ არჩევნებმა აჩვენა არა „ნაციონალური მოძრაობის“ განადგურება, როგორც ამას „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები ვარაუდობდნენ, არამედ, პირიქით, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ თბილისსა და დიდ ქალაქებში პოზიცია გაიმყარა.

პოლიტიკოსების მსგავსად, განსხვავებულ მოსაზრებებს გამოთქვამენ ანალიტიკოსები. პოლიტოლოგი გიორგი ცხადაია აცხადებს, რომ არჩევნების შედეგები, მართლაც, მოწმობს, რომ ამომრჩეველთა ნაწილს გული აუცრუვდა „ქართულ ოცნებაზე“, თუმცა, მისი აზრით, ეს იმედგაცრუება „ნაციონალურ მოძრაობას“ ბევრს არაფერს აძლევს. გიორგი ცხადაია ამბობს, რომ **ის ამომრჩეველი, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ დაკარგა, „ნაციონალების“ მხარეს არ გადასულა. „ვინც მანამდე იყო „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი და ახლა იმედი გაუცრუვდა, მათი ხმა, სავარაუდოდ, „პატრიოტთა ალიანსს“ ან ნინო ბურჯანაძეს მიუვიდოდა“,** — უთხრა გიორგი ცხადაიამ რადიო „თავისუფლებას“.

ექსპერტი თვითმმართველობის საკითხებში კოტე კანდელაკი კი ხაზს უსვამს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნების შედეგად მანდატების დიდი უმრავლესობა მოიპოვა და ამბობს, ეს მანდატები კოალიციას საშუალებას აძლევს, გადაწყვეტილებებიც ერთპიროვნულად მიიღოს და, სურვილის შემთხვევაში, უნდობლობა გამოუცხადოს პირდაპირი წესით არჩეულ გამგებლებსა და ქალაქის მერებსო.

კოტე კანდელაკის აზრით, ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ოთხპროცენტიანი საარჩევნო ბარიერი კიდევ ორმა პოლიტიკურმა ძალამ გადალახა. მისი თქმით, მართალია, ამ პარტიებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამართლებრივი ჩარევის ბერკეტები არ ექნებათ, მაგრამ შეეძლებათ საკრებულოებში ოპოზიციური სპექტრის გაძლიერება და ეს შესაძლებლობა მთლიანად მათ აქტიურობაზე იქნება დამოკიდებული.

გიორგი ცხადაიას აზრით კი, შემდგომში ამ პარტიების კიდევ უფრო მეტად გაძლიერებაა სავარაუდო. მას მაგალითად მოჰყავს საფრანგეთში ულტრამემარჯვენე პარტიების წარმატება და ამბობს, თუ ამომრჩეველს იმედგაცრუება გაუღრმავდა მმართველ ძალასთან მიმართებით, ეს „ნინო ბურჯანაძე — ერთიანი ოპოზიციისა“ და „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ გაძლიერებას გამოიწვევსო.

ნიკო ნერგაძე
რადიო „თავისუფლება“

ადრენალინი მეორე ტურისთვის

მმართველობის ადგილობრივი ორგანოების არჩევნები, რასაც უეჭველ რევანშად სახავდნენ ეს ჩვენი ჩასაფრებული ნაციონალები, შედგა, შედარებით წყნარად, პატიოსნად...

პირველმა შედეგებმა დაადასტურა, რომ საერთო ჯამში „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა, თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ეს არ არის ნოკაუტი, ათის დათვლის შემდეგ მოკრივე რინგიდან საკაცით რომ გააქვთ, რასაც გვპირდებოდა მმართველი პარტია.

ამიტომ იყო, რომ დავით ბაქრაძემ კვირასვე, როცა ჰკითხეს, რატომ გაქვს ასეთი საზეიმო იერიო, ყელში გულმობჯენილმა განაცხადა ფართოდ ცნობილი უმისამართო ღიმილით – იმიტომ, რომ გამარჯვებას ვზეიმობ, მეორე ტურს ვზეიმობო.

თუ კაცს ტვინი მაღვალაკურად არ გაქვს მოწყობილი, რაც ნაცებისთვის ჩვეულებრივი მუშა მდგომარეობაა, რა არის ამ მეორე ტურში ასე სენსიტიურად (ძლივს არ მოვახერხზე ამ ახალი, მოდური სიტყვის ჩაკვეხება!) საზეიმო? თუ მაინცდამაინც, ჯერ გადახტი და ჰოპ მერე დაიძახე.

მაგრამ ამ ნაცებისას რას გაიგებ! ორიათასრვაში ომი წაგვაგებინეს და რუსთაველი ცეკვა-სიმღერით აგვაკლებინეს, გავიმარჯვეთო.

ამრიგად, ბატონი ირაკლის მგზნებარე და იმედიანი დაპირების მიუხედავად, მეორე ტური იქნება!

ამოიგებს პირველ ტურში წაგებულს „ოცნება?“

ალბათ!

ოღონდ ამ მეორე ტურს ოფლით მოგება უნდა და არა „ჯოს-ჯოს, თბილისის მერ ნარმანიას გაუმარჯოსო“ სკანდირებით და შამპანურის ჩაშუშხუნებით!

ის დროა, „ოცნებამ“ ქარიფანტია ოცნებას თავი დაანებოს და მკაცრ რეალობას შეხედოს თვალებში.

იგი მიუტევებლად დიდხანს ტკბებოდა თავისი დიაღაც გმირული მიღწევებით 2012-2013 წლებში და ვერ ხედავდა, რომ აურა თანდათან უფერმკრთალდებოდა, თანდათან შორდებოდა იმ ვარსკვლავბიჭუნას ხატებას, რომლითაც ქართული ოცნება ხელისუფლებაში მოვიდა, სამართლიანობის აღდგენის გაურკვეველი ვადით გადადებამ მომლოდინე ხალხი გააგრილა, რაც არავინ არ გათვალა.

ნათქვამი რომ არის, კაცი თავის შეცდომებზე სწავლობსო, მთლად სწორი არ არის – შენს შეცდომებზე ძირითადად შენი მოწინააღმდეგე სწავლობს, თუმცა, რა თქმა უნდა, უპრიანია შენც გაიკეთო სათანადო დასკვნა.

არჩევნების წინადღეებში ჩვენი ჭაბუკი პრემიერი კატეგორიულად რომ აცხადებდა, არც ერთ რაიონში სხვას არ გავამარჯვებინებთო, ალბათ ადრენალინის მოჭარბების შედეგი იყო, თორემ ეს ნათქვამი, ყბადაღებული დემოკრატიის გაშლილად მშენებარე რესპუბლიკის ხელმძღვანელისა და დამჯდარი პოლიტიკოსის წამოცდენას არ ჰგავდა.

ან: მეორე ტური გულშიც არავინ გაივლოს, ის არამცდაარამც არ იქნებაო!

თურმე, ასე ხელაღებით, სადღეგრძელოსავით იოლად სულაც არ ყოფილა საქმე, თურმე, მეორე ტური იქნება კი არა, სულაც 18 ობიექტში იქნება, მათ შორის, მოულოდნელად – „ჩვენს“ თბილისშიც!

ერთადერთი ტელეარხის, ვგონებ, „იმედის“, ეგზიტპოლის იმედად ნარმანიასთვის ხმაურიანი მილოცვა, ლოყაზე ჩქმეტა და შამპანურის ბათქა-ბუთქი რა იყო! საწყალი არშემდგარი მერი საშინელ დღეში ჩავარდა, კიდევ ერთი თვე უნდა უცადოს ხელდასხმას, თანაც თფუ, თფუ, თფუ, იმ ერთი თვის შემდეგ გამარჯვებასაც მოპოვება უნდა. დარწმუნდა, რომ სულსწრაფად გამოცხადებულის საპირისპიროდ ქალაქის თავის კვერთხს იოლად არავინ მიართმევს. ჩქმეტა-ჩქმეტით მხოლოდ პატარძალი ორსულდება, ისიც მხოლოდ ანდაზებში.

არჩევნებმა უტყუარად გამოავლინა, რომ ოცნებას საარჩევნო შტაბიც ჰქონდა და შტაბის უფროსიც ჰყავდა, მაგრამ არ ჰყავდა იდეოლოგი, ლოკომოტივი, მაშინ როდესაც ნაციონალებში ვიღაც ნიჭიერი დირიჟორი მუხლჩაუხრელად ირჯებოდა და მას ხელის ბიჭების და ხელის გოგოების შეხმატკბილებული და თავგადადებული გუნდი დაუღალავად და გამრჯედ ემსახურებოდა (უგულავა, ბოკერია, გაბაშვილი, წიკლაური, საყვარელიძე, კანდელაკი, ნადირაშვილი, გოგორიშვილი...): მიხტომა იყო, მოხტომა იყო, ბუზის სპილოდ ქცევა თუ არარსებულის არსებულად ქცევა და უკადრებელის კადრება იყო... მიაღწიეს კიდეც თავისას – მეორე ტური შვეს.

წამდაუწუმ რატომ სცემენ ნუგზარ წიკლაურს?

მე მგონი, ახლა ბატონმა ირაკლი ღარიბაშვილმა საჭადრაკო დაფაზე სასწრაფოდ გრძელი როქი უნდა გააკეთოს, ის ლოკომოტივი, წეღან რომ ვთქვით, რომელიმე სხვა დეპოდან ითხოვოს თუ ბოლოს და ბოლოს დაიქირაოს. ერთი სიტყვით, როგორც მოხერხდება ისე, თორემ, ოცნებას ისე მოუვა, როგორც ერთ კამეჩს მოუვიდა, ტალახში რომ იწვა, იცოხნიდა და ლაფში ჩაფლული ურემი შინ მიტანილი ეგონა. თუ მიუშვი, კამეჩი მთელი დღე არ გაინძრევა, ამიტომ სახრით უნდა წამოაგდო და ჭაპანს მიუყენო.

ბატონმა ირაკლიმ რაც შეიძლება მაქსიმალურად უნდა შეიკავოს თავი მგზნებარე, გულის მოსაფხანი, მაგრამ სიკეთის და შედეგის არმომტანი განცხადებებისგან და უფრო პრაგმატული პიარი აითვისოს.

იმ დღის მთავარი დასკვნა: არჩევნები წმინდა ქართული სულისკვეთებით წარიმართა:

„ობიექტივის“ ეკრანსმილმიდან ვიღაცა დაბეჯითებით მოუწოდებდა ტელემაყურებელს, რის არჩევნები, შედეგები დიდი ხანია ვაშინგტონშია გადაწყვეტილი, რაღა გინდათ არჩევნებზე, მრცხვენია ქართველი რომ ვარო.

მეორე: ოპოზიციავ, რატომ არ გაერთიანდი, მე შენი დედაო.

მესამე: ჭიკაიძის დახმარებით საშინელი გაყალბება ხდებაო.

* * *

მაგრამ რასაც ინკოგნიტო მოქალაქეები კადრულობდნენ, იმასთან რასმივა, რასაც ჩვენი ნაფიცი პოლიტიკოსები კადრულობდნენ.

შალვა ნათელაშვილმა დილითვე ისე მოავლო არწივის მზერა მარტყოფის ველს, რომ უმალ მივხვდით, ეს კაცი არ ხუმრობდა, უკანასკნელ ლეიბორისტამდე საბრძოლველად იყო მზად და გვაჯახა კიდეც: ამ დღეს დიდი ხანია ველოდი, დღეს ლეიბორისტები უსიკვდილოდ გავიმარჯვებთ, არავინ გაბედოს ჩვენი ხმების მოპარვა, ვინც გაყალბებას გაბედავს (ამ „ვინცში“ აშკარად ხელისუფლება იგულისხმებოდა), რევოლუციას მიიღებსო.

ისე რომ, მთელმა საქართველომ შიშით დააღამა ის დღე, თუმცა, როცა ნათელაშვილის კანდიდატი ასმათ ტყაბლაძე წინასწარი შედეგებიდან დედიშობილა გამოვარდა, მერიიდან 750 კილომეტრზე, შალვას ჩვეული რიხით აღარ შეუძახია, დაუნ დიქტეიტენო!

ყოველთვის თავდაჭერილ და კორექტულ ნინო ბურჯანაძეს ბოლოს ნერვებმა მაინც უმტყუნა და მეხი დაატეხა „ფეხბურთელ(?!) კახი კალაძეს“, როგორ თუ არ დაეთანხმე ჩემს მიგნებას, რომ „ოცნება“ ბრიფინგებს თავისი სიმბოლიკის ფონზე ატარებს, რის უფლებაც არჩევნების დღეს არა აქვსო. ერთი სიტყვით, მტკივნეულ ადგილზე დაარტყა, შე ფეხბურთელოო, მერე უფრო განავრცო, იტალიაში უამრავი ფეხბურთელი იყო, მაგრამ პოლიტიკაში არავინ წასულა და შენ ვინ ხარ, შე ფეხბურთელოო. ეს ისეთი პრონონსით თქვა, როგორითაც კოკისპირული ჩხუბის დროს ერთი მეომარი ქალბატონი მეორეს რომ გაიმეტებს, შე გათახსირებულოო (სხვათა შორის ქალბატონმა ნინომ, რომელსაც დედის მუცლიდან დაჰყვა პოლიტიკოსობა, იმ დღეს სხვა კონტექსტშიც წამოსძახა საქართველოს ვიცე-პრემიერს საჯაყი საქმე – ფეხბურთელობა)...

ნაციონალურმა მოძრაობამ, კერძოდ ფალოსისტმა ჭიაბერაშვილმა, „ოცნების“ მიერ არჩევნების გაყალბების უძველესი და ნაცადი ხერხის – კარუსელის ვიდეოკადრი უჩვენა ოპოზიციონერთა ოპერატიულობითა და ხერხიანობით გაოგნებულ მაყურებელს, კადრში ჩანდა სამარშრუტო მიკროავტობუსი, რომელშიც ორი გაოცებული ქალბატონი იჯდა, ფეხებთან მიწყობილი სანოვაგიანი პარკებით და ძალადურ გაჩერებას ენერგიულად აპროტესტებდა, სახლში გვეჩქარება, რისთვის გვაჩერებთ, მეხი კი დაგაყარეთო.

მოხერხებულ ჭიაბერაშვილს ამ„ ვიდეობრალდებით“ ნეტა რისი დამტკიცება უნდოდა, ჰა?

თავისი წილი შხამი გოკა გაბაშვილმაც ამოანთხია, გიგი უგულავამაც და კუმ ფეხი გამოყო, გია ნოდიამაც კი.

გუნავამ ანაკლიის ინციდენტში (ორი წლის წინათ მოკლული ჭაბუკის დედა, გამოძიების უმოქმედობით აღშფოთებული, საარჩევნო უბანში შეიჭრა და იქაურობა ბრძოლის ველს დაამსგავსა) უმალ დაადანაშაულა ხელისუფლება, გაჭირვებულ ოჯახებს იყენებს პროვოკაციებისთვისო(?!).

მოკლედ თითი ყველამ „ოცნებისკენ“ გაიშვირა.

ალბათ სწორიც არიან, პრინციპში ხელისუფლება ხომ ყველაფერზე აგებს პასუხს.

ისე რომ, არჩევნების სასიკეთოდ დასაბოლოებლად, ივლისის მეორე ნახევარში ხელისუფლება თვალებად და ყურებად უნდა იქცეს.

არჩევნებს კიდევ ერთი არანაკლებ მნიშვნელოვანი შედეგიც მოჰყვა: 2014 წლის 15 ივნისს ზუგდიდში ნუგზარ წიკლაური ისევ გაილახა! როგორც ტელეეკრანზე ვიხილეთ, საჯაროდ ჩააფრეს თავში, (თანაც, როგორც შემდეგ ზუგდიდელებმა მითხრეს, სატელევიზიო ჩაფარების გარდა, იმ დღეს სხვაგანაც მაგარ-მაგრები ჩასცხესო).

არ არის კარგის ნიშანი!

ბოლო თვეებში ეს მეორედ მოხდა.

ადრე მამალი ნაციონალი, ამაყი მთიელი კაცი ნუგზარ წიკლაური გმირთა მოედნის მონუმენტივით ეულად იდგა ნაციონალების ერთიან სივრცეში და თავზე ბუზს არ ისვამდა, ახლა კი იმ თავზე ვისაც არ ეზარება, ის უბრაგუნებს (მე შენ გეტყვი და ააცილებს იმხელა გოდორს, მთავარია, მოიქნიოს). თანაც, როგორც ვთქვით, მოვლენები აშკარად დაჩქარდა და თუ ამის მიხედვით ვიანგარიშებთ, პატივცემულ ნუგზარს წინ კიდევ არაერთი ჩაფარება და ყბაში მოდება ელის. მით უფრო, რომ თურმე, შემოდგომაზე აქციების აგორებას აპირებს, „რაც მოგივა დავითაოს“ პრინციპით.

მთავარი ის არის, რომ კლდეკაცი ნუგზარ წიკლაური მიეჩვია ფიზიკურ გვემას და ერთი დამსახურებული და დიდად მშრომელი დიდყურა ოთხფეხივით უკვე იოლად იტანს მუშტსაც, წიხლსაც და სახრესაც.

რაც მთავარია, ფიზიკურთან ერთად სულიერ, მორალურ ტკივილსაც მიეჩვია. ეს, ბუნებრივია, გაუიოლებს ცხოვრებას, რადგან, როგორც ვთქვით, სავარაუდოა, რომ აწი უფრო ხშირად მოუწევს ცხვირპირის დანაყვა. ისე რომ, სრული უფლება აქვს სიბერეში შვილიშვილებში ჩამჯდარმა, სიამაყით გაიხსენოს, აბა, ცემა მაშინ იყო, თუ იყოო!

ამრიგად არჩევნები შედგა, არჩევნები წინ არის!

ალეკო ასლანიშვილი

ალიანჩალიანი

ალექსი პეტრიაშვილი – ყველა ტიპის რისკებზე გვაქვს ანალიზი

ყველა ტიპის რისკებზე გვაქვს ანალიზი, პროვოკაციიდან დაწყებული და ეკონომიკური გამოწვევებით დამთავრებული - ამის შესახებ ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში სახელმწიფო მინისტრმა ალექსი პეტრიაშვილმა იმ თემის კომენტირებისას განაცხადა, რომელიც ასოციერების ხელშეკრულების ხელმოწერის მოახლოებასთან დაკავშირებით შესაძლო პროვოკაციებს შეეხებოდა.

— პროვიკაციიდან დაწყებული და ეკონომიკური გამოწვევებით დამთავრებული ყველა ტიპის რისკებზე გვაქვს ანალიზი გაკეთებული. ვმუშაობთ ძალიან ინტენსიურად ჩვენს ევროპელ და ამერიკელ პარტნიორებთან ერთად, რათა იმ შემთხვევაში თუ 27 ივნისის შემდეგ ამას მოჰყვა დამატებით ან სანქციების შემოღება, ან სატარიფო პოლიტიკის გადახედვა, მაშინ ჩვენი დასავლელი პარტნიორები მზად იქნებიან, მხარში ამოუდგნენ ჩვენს ქვეყანას. ასეთი პრეცედენტები არსებობს რეალურად მოლდოვასთან მიმართებაში და სხვა ტიპის მექანიზმები შეიძლება იყოს გამოყენებული საქართველოსთან მიმართებაში. დღეს რეალურად ჩვენ ვუყურებთ სრულიად ახალ, 900-მილიონიან ბაზარს, სადაც 146 მილიონი არის რუსეთის წილი, 500-ზე მეტია ევროპის წილი. სწორედ ეს ემსახურება, რომ მოკლე დროში მოხდეს პროდუქციის ხარისხის ამაღლება და შესაძლებელი გახდეს ჩვენი პროდუქციის გატანა, — განაცხადა ალექსი პეტრიაშვილმა.

ინტერპრესი

საჯო დაიკარგა საღი აზრი? - 7

პატრიოტიზმი ნაძირლების უკანასკნელი თავშესაფარია
სამუელ ჯონსონი.

საზოგადოებრივი აზრი — ეს არის ქუჩის ქალი.
ნაპოლეონ ბონაპარტი.

სტატიის ეპიგრაფად ამ ორი გამონათქვამის გამოყენება ორმა გარემოებამ მაიძულა. ვფიქრობ, პირველი ეპიგრაფი შესანიშნავად მიესადაგება ამ ბოლო ხანს ნაციონალების მიერ გახმაურებულ „პატრიოტულ“ გრძნობებს, ხალხზე ზრუნვით რომ არიან „შეწუხებული“ და აკრიტიკებენ მთავრობას. მარტო დ. ბაქრაძის, გ. უგულავას, მ. მაჭავარიანის და ზ. ჭიაბერაშვილის ტელეგამოსვლები რად ღირს: მართლაც რომ უსინდისობას ზღვარი არ ჰქონია, თორემ მათი 9-წლიანი მოღვაწეობის შემდეგ, ხმას უნდა იღებდნენ?!

მეორე ციტატა კი ქვეყნისთვის საზიანო ისეთ საზოგადოებრივ აზრს ეხება, რომლის შექმნასაც თავის შოუებში ცდილობს ჟურნალისტი (?!) ინგა გრიგოლია (და მისი თანამოძმე ჟურნალისტები). მისი ტელეშოუები ხომ სუფთა პიარია და უფრო მეტად სცენაზე აქტიური მისი მოძრაობის, ჟესტიკულაციის და რესპონდენტებთან ხმამაღალი კამათის დემონსტრირებაა, ვიდრე დასმულ საკითხებზე საღი აზრის ჩამოყალიბება და სათანადო შეფასება.

ახლა კი, იმ საკითხებს შევეხები, რომლებიც საზოგადოებაში ფართო მსჯელობის საგანია და, არცთუ ისე ი შვიათად, მთავრობის კრიტიკას იწვევს.

სანამ ამ საკითხებზე გადავიდოდე, მინდა, აღვნიშნო ერთი რამ: აქსიომაა, რომ მთავრობის მოღვაწეობის შეფასების მთავარი კრიტერიუმია ხალხის ინტერესების გათვალისწინებით საქმიანობა. ამის იგნორირებას მივყავართ მთავრობისაგან ხალხის (საზოგადოების) დისტანცირებამდე, რაც ძალიან საშიშია და, შესაძლოა, მიგვიყვანოს ქვეყნისათვის დამღუპველ დაპირისპირებამდე.

ახლა კონკრეტულად საკითხები (სამწუხაროდ, საჭირბოროტო ბევრია, მაგრამ მე რამდენიმეს შევეხები, რომლებმაც ხალხის წყრომა გამოიწვია) — **მთავრობისა და ხალხის ერთიანობისთვის მეტად მნიშვნელოვანია მართლმსაჯულების აღდგენა.** ნაციონალების 9-წლიანი პარპაშის შემდეგ ეს ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე მთავრობის საქმიანობის ნომერ პირველი საკითხი გახდა. რატომ ჭიანურდება ამ საკითხის გადაწყვეტა? ამას ხომ მთელი საზოგადოება მოითხოვს იმ მთავრობისაგან, რომელიც ხელისუფლებაში მხოლოდ ხალხის მხარდაჭერით მოვიდა?! ან ეს რა შოუ-სასამართლოები იყო ვ. მერაბიშვილის და ბ. ახალაიას საქმეებთან დაკავშირებით? ნუთუ საკამათოა მათი დანაშაულები? აი, რა მოჰყვა დასავლეთიდან თავსმოხვეულ კოჰაბიტაციას და აქაური „კეთილისმსურველების“ რჩევების უსიტყვო (უფრო ზუსტად მონურ) შესრულებას! სამწუხაროდ, ჩვენმა საგარეო უწყებებმა (ფანჯიკიძე და პეტრიაშვილი) ვერ შეძლეს ქვეყნის ინტერესების დაცვა.

აქ ერთი რამ არის კიდევ საკვირველი, რატომ გაიჭიმა დროში ეს სასამართლოები? იმისთვის, რომ ხალხი სტრესში ამყოფონ და ყურადღება გადაატანინონ ქვეყნის ძირითადი საკითხების განხილვიდან ამ შოუებზე? სასაცილოა პირდაპირ, ნიურნბერგის პროცესმა 11 თვემდე გასტანა და ეს რა გაუთავებელი პროცესი გახდა?

საჭიროა, ხელისუფლება სასწრაფოდ გაემიჯნოს ნაციონალებს, მისცეს სათანადო შეფასება და მოიშოროს ისინი მმართველობიდან (ვგულისხმობ ხელმძღვანელი თანამდებობებიდან გაშვებას და არა რეპრესიებს). **მთავრობის უმოქმედობამ, გარედან მოხვეულმა კოჰაბიტაციამ და, საერთოდ, ქვეყნის გარედან მართვამ** (რომელ დამოუკიდებლობაზეა ლაპარაკი?) **შედეგი გამოიღო** — **ნაციონალები** (გარე ძალებიდან ზურგგამაგრებულები) **ახალი მთავრობის კრიტიკიდან უკვე ლანძღვაზე გადავიდნენ და ხელისუფლებაში ისევ დაბრუნებით იმუძრებიან** (?!), სამწუხარო ის არის, რომ „ოცნების“ და მთავრობის მხრიდან არავითარი ქმედითი პასუხი არ ისმის (თუ არ ჩავთვლით ზოგჯერ ქ-ნ მ. კობახიძის კრიტიკულ გამონათქვამებს მათი მისამართით).



ხალხი გაოგნებულია, რომ ნაციონალები, რომელთა 9-წლიანმა მოღვაწეობამ ქვეყანა კატასტროფის წინ დააყენა, ტერიტორიები დაკარგვინა, რუსეთი გადაგვკიდა, მიწაწყალი გაგვიყიდა, ახალგაზრდობა გარყვნა, ხალხის უმეტესობა მათხოვრად აქცია, კიდევ ხმას იღებენ და ახლა პატრიოტებად გვევლინებიან (ამიტომ მოვიყვანე პირველი ეპიგრაფი), მთავრობის მხრიდან შესაბამის რეაქციას არ განიცდიან. უფრო მეტიც, საზოგადოებისათვის ცნობილია პარლამენტის თავმჯდომარის ბ-ნ დ. უსუფაშვილის გამონათქვამი **„ჩვენი ვალია, შევინარჩუნოთ ნაციონალები“,** აგრეთვე ყოფილ პრეზიდენტზე, მ. სააკაშვილზე მისი კომენტარი **„ის არაა ეჭვმიტანილი თუ ბრალდებული რაიმე კონკრეტული დანაშაულის ჩადენაში** (?!)“ (გაზ. „ახალი თაობა“ №69, 24 მარტი, 2014წ.). ამაზე კი, როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

ხალხმა მხარი არ დაუჭირა ნაციონალებს და ხმა მისცა „ოცნებას“ (აქ უდიდესია ბ-ნ ბ. ივანიშვილის დამსახურება, თუმცა, შემდგომი მისი ნაბიჯები გაუგებარია). საზოგადოება ელოდებოდა, რომ დაიწყებოდა ინტენსიური მუშაობა მათი შეცდომების გამოსასწორებლად, კერძოდ (ჩამოვთვლი ძირითადს):

— ეკონომიკის განვითარება, ამ მიმართულებით მთავრობის **პროგრამაც კი არაა მიღებული, პრიორიტეტული დარგები არაა განსაზღვრული, საქართველო, მგონი, ერთად ერთი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც მანქანათმშენებლობის, განსაკუთრებით ახალი ტექნოლოგიების არცერთი ქარხანა არ მუშაობს (როგორ უნდა დავასაქმოთ ხალხი, განსაკუთრებით ახალგაზრდობა?);**

— **გარკვეული დადებითი ძვრების მიუხედავად, არც სოფლის მეურნეობის განვითარების, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამმუშავებელი ქარხნების სხვადასხვა რაიონებში განვითარების პროგრამა არაა მიღებული;**

— **ხალხის სოციალური პირობების გაუმჯობესება კუს ნაბიჯებით მიიწევს წინ. ამასთან დაკავშირებით არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ არჩევნების პერიოდში ქალაქის მერობის კანდიდატობის, საკრებულოში ასარჩევი პიროვნებების რეკლამისათვის გაწეული ხარჯები, ასი ათასობით ლარი, არ სჯობდა სოციალური საკითხების მოგვარებას მოხმარებოდა? რა საჭირო იყო ასეთი უაზრო პიარი?**

— **განათლების დამახინჯებული რეფორმის (რომელმაც დიდი ზიანი მიაყენა სწავლების ხარისხს) გასწორების ცდაც არ ჩანს ჯერ;**

— **მეცნიერების განვითარებისთვის (მიუხედავად მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიმართვისა მთავრობისადმი) საჭირო ღონისძიებები არაა მიღებული (საქართველო უმეცნიერებოდ?!);**

— **ბ-ნ ბიძინას განცხადების მიუხედავად, არსად არ ჩანს გამოცდილი, პროფესიონალი კადრების გამოყენება ნებისმიერ დარგში (და ვაცხადებთ, რომ ასეთი კადრების დეფიციტია);**

— **რუსეთთან კეთილმეზობლობის აღდგენის საკითხები (მიუხედავად მისი მოქმედებისა, გამოწვეული მ. სააკაშვილის მიერ) შეჩერებულია. თუმცა, ფაქტია, რომ მას ალტერნატივა არა აქვს;**

— **მასმედია რჩება მეხუთე კოლონად. ტელეეკრანებზე უფრო ხშირად ნაციონალები გამოჰყავთ, ვიდრე სხვები, „მაესტრო“, მე მგონი, „რუსთავი-2“-ს აჯობებს თავისი მიკერძოებული გადმოცემებით;**

— **ქალაქში გრძელდება არასწორი, უაზრო მშენებლობა (მარტო სპორტის სასახლის წინ, ჩარგლის მოედანზე და ვაკის პარკში შენობების ჩადგმა საკმარისი მაგალითია ამისათვის);**

— **არავითარი მოქმედება ე.წ. „ვაიპატრიოტების წინააღმდეგ არ ჩანს. არადა, მათ საკმაოდ ზიანი მოქვთ ქვეყნისთვის. ამასთან დაკავშირებით ერთი „ვაიპატრიოტის“ შესახებ უნდა ვთქვა. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკაში“ (№37, 21 თებერვალი, 2014წ.) წავიკითხე, რომ საკრებულოს წევრი, ნაციონალი ვილაც გია გოქაძე ვასილ კიკვიძის ძეგლის დემონტაჟს მოითხოვს და იმუქრება, რომ შეღებავს მას, თუ არ აიღებენ. რა დაუშავა ამ ტვინგამოცლილ გ. გოქაძეს ვ. კიკვიძემ? იცის თუ არა მან, ვინ იყო ის? ვ. კიკვიძე უაღრესად ნიჭიერი ახალგაზრდაა, რომელსაც მთელი დივიზიის მეთაურობა ჩააბარეს, იბრძოდა რუსეთში მტრების წინააღმდეგ და შეეწირა ამ ბრძოლებს. ის 1919წ. დაიღუპა. საქართველოში რუსები ჯერ შემოსული არ იყვნენ. თუ იმიტომ გაუწყრა, რომ რუსების მხარეს იბრძოდა, მაშინ ამ უბადრუკი გ. გოქაძის ლოგიკას თუ გავყვებით, თბილისში პეტრე ბაგრატიონის ძეგლი უნდა გავანადგუროთ, ის ხომ რუსეთის იმპერიის დიდებას შეეწირა?! ვინ აირჩია საკრებულოში ასეთი „ჭკვიანი“?**

— **ვფიქრობთ, უფრო ღრმა ანალიზს მოითხოვს ნატოში და ევროკავშირში შესვლის საკითხი. ბლეფია განცხადება იმის შესახებ, რომ მოსახლეობის 70%-ზე მეტი მხარს უჭერს მას. საქართველოს მომავლისათვის სხვა გზაა უფრო ოპტიმალური. ის ევროპული ღირებულებები, რომლებსაც გვთავაზობენ, საქართველოსათვის მიუღებელია.**

იმედია, მთავრობა ამ საკითხების მოგვარებას უფრო სწრაფი ტემპით შეუდგება.

ამჟამად ერთ საკითხს უნდა შევეხო, რომელიც ამ მთავრობის ხელში წარმოიშვა. ეს არის ე.წ. „თბილისის პანორამის“ პროექტი, რომლის განხორციელება 500 მლნ. ლარი (!) ჯდება და რომელიც ქალაქის ისტორიული ადგილების გაუქმების ხარჯზე უნდა აშენდეს (?). ვის მოუვიდა თავში აზრად ეს? თბილისს მრავალი პრობლემა აქვს გადასაწყვეტი და არ სჯობია მათ მოსაგვარებლად დაიხარჯოს ეს თანხა?

გასაგებია, რომ ზემოთ მოყვანილი საკითხების მოგვარებას ხელს უშლის ის გარემოება, რომ საქართველოს, ძირითადად, გარეშე ძალები მართავენ, რომელთათვისაც ეროვნული ინტერესები საზრუნავი არ არის. საჭიროა როგორც მთავრობამ, ასევე საზოგადოებამ ღრმად გააანალიზონ ეს სიტუაცია და ქვეყნის ინტერესების შესატყვისად იმუშაონ.

ბონდო ჩიკვაიძე

◎ ალიანჩალიანი

გამყოფ ხაზზე მოქალაქეთა არაკანონიერი დაკავებები აღმოიფხვრება

სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა **„გამყოფ ხაზზე დაკავებებისა და პატიმართა მდგომარეობის შესახებ სპეციალური საინფორმაციო ნარკვევი“ გამოაქვეყნა.**

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე სახალხო დამცველმა განაცხადა, ნარკვევში ასახულია დაკავებულ პირთა სტატისტიკა და რეკომენდაციები, რომელიც საკითხის მოგვარების მიზნით ომბუდსმენის აპარატმა შეიმუშავა.

— ერთი წლის წინათ პირველად გამოითქვა შეწყალების გზით პატიმართა ორივე მხარის გათავისუფლების იდეა, რასაც დადებითი გამოხმაურება მოჰყვა არა მხოლოდ პატიმართა ოჯახის წევრებისგან, არამედ კონფლიქტის ორივე მხარეს მოქმედი სხვადასხვა ორგანიზაციების მხრიდან. წინგადადგმული ნაბიჯი იყო 2012-2013 წლებში ორი პატიმრის გათავისუფლებაც, თუმცა, დღეისათვის ეს პროცესი შეჩერებულია, — განაცხადა უჩა ნანუაშვილმა.

მისივე თქმით, 2014 წლის 31 მაისის მდგომარეობით, ე.წ. სამხრეთ ოსეთის გამყოფ ხაზზე საქართველოს მოქალაქე — 70 პირი იყო დაკავებული, ხოლო აფხაზეთის გამყოფ ხაზზე — 107.

— ცხინვალის ციხეში 3 ქართველი პატიმარი რჩება. ქართულ ციხეში კი, გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები 11 პატიმარი იხდის სასჯელს, რომელთა გათავისუფლების შესახებაც სხვადასხვა დროს მიმდინარეობდა მოლაპარაკებები. როგორც ოსი, ისე ქართველი პატიმრები და მათი ოჯახის წევრები რეგულარულად მიმართავენ სახალხო დამცველს და მოითხოვენ შეწყალებას და მხარეების ურთიერთშეთანხმებით, ორივე მხარის პატიმრობაში მყოფი პირების გათავისუფლებას. მოუგვარებელი კონფლიქტების შედეგები ასევე მწვავედ აისახება გალის რაიონში მცხოვრები მოსახლეობის უფლებრივ მდგომარეობაზე. ამჟამად სოხუმსა და გალის რაიონში მცხოვრები არაერთი მკვიდრი ჰყავთ დაკავებული, ისევე როგორც თბილისში გალში მცხოვრები რამდენიმე პირი იხდის სასჯელს, — აცხადებს სახალხო დამცველი.

ინტერპრესი

◎ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲐᲖᲠᲘ

ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲐᲠᲔᲨᲘᲫᲔ:

ᲗᲣ ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲘᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝᲔᲑᲠᲘᲝᲑᲐᲖᲔ ᲕᲘᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲗ...

ᲔᲥᲡ�პᲔᲠᲢᲘ ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲐᲠᲔᲨᲘᲫᲔ გარდაბნის რაიონის საკრებულოს დეპუტატი გახდა. „ვეტერანთა კავშირის“ სიის პირველი ნომერი დეტალურად ყვება, თუ რა ვითარებაში ჩაიარა 15 ივნისმა საქართველოს ერთ-ერთ რაიონში და როგორი ძალისხმევის შედეგად შეძლო გადეპუტატება. ამის შესახებ მან „პრაიმ-ტაიმის“ პრესკლუბში ბრიფინგი გამართა.

– მოკლედ, გარდაბნის რაიონში არჩევნები ტარდებოდა ასე, – ყვება ექსპერტი, – დანიშნული იყო ორი პიროვნება ადგილობრივი უშიშროებიდან: გიორგი ჯანხოთელი და სამირ ხაიევი, რომელთა ამოცანაც იყო უბნებზე ხმების გაყალბება.

– გაყალბება რაში მდგომარეობდა?

– ფულის გადაცემაში ისინი არ მონაწილეობდნენ, ამას სხვა პირები უზრუნველყოფდნენ. გაყალბების პირველი ვარიანტი იყო კარუსელი, რომელიც რამდენიმე უბანზე დავაფიქსირეთ და ამაზე ცესკოში საჩივარიც დავწერეთ. და მეორე, სრულებით ახალი მეთოდოლოგია, რომელიც საქართველოს მოსახლეობას მინდა „მივულოცო“: როცა შემოხაზავ ერთ ნომერს, იქვე უნდა შემოხაზო მეორე ნომერიც და ბიულეტენიც გაბათილდება. სხვათა შორის, ამასთან დაკავშირებით ძალიან საინტერესო ფაქტი მოხდა: გარდაბანში ნინო ბურჯანაძის პარტია მოხსნეს, მაგრამ ამომრჩეველს, განსაკუთრებით აზერბაიჯანელებს, რომლებიც ცოტა ცუდად ერკვევიან საარჩევნო სისტემაში ეკითხებოდნენ, რომელი უნდა შემოხაზო? – თუ პასუხი იყო – ორიანი, ურჩევდნენ: იქვე სამიანიც შემოეხაზათ, ასე უკეთესი იქნებაო. ასეთი უამრავი ბათილი ბიულეტენი არსებობს. გაყალბების მესამე ვარიანტი იყო ხმების ჩაყრა: თუ ერთ პარტიას ეყრებოდა 100 ხმა, მეორეს ეყრებოდა 50. მოკლედ, ქართულ ოცნებასა და ნაციონალურ მოძრაობას შორის სუფევდა სრული იდილია. საერთოდ, გარდაბნის რაიონში პოლიტიკური თვალსაზრისით ისეთი შეხმატკბილებულები არიან ისინი, რომ შეგშურდება. „ქართული ოცნების“ ბევრი წევრი ყოფილი ნაციონალია და გადასარევად იცნობენ ერთმანეთს, აქვთ ნათესაური კავშირები, არიან ერთმანეთის ნათლია-მირონები და ა. შ. ზოგადად პოლიტიკური იდილიის, „დემოკრატიის ზეობის“, კოჰაბიტაციის და სინდიოზის ისეთი მაგალითია გარდაბანი, რომ საერთოდ ცალკე უნდა გამოიყოს საქართველოს რაიონებიდან.

ამასობაში ცნობილ დეპუტატ თემურ ფეიქრიშვილს, რომელიც გამოკვეთილი, „ქარიზმატული და კრეატიული“ პოლიტიკური ფიგურაა, ჰყავს თავისი შტაბის უფროსი დათო ჩადუნელი, რომელიც ასევე აქტიურად იყო ჩაბმული არჩევნების გაყალბებაში. თან ღიად, თვალსაცემად და დაუფარავად აყალბებდა. მაინცდამაინც არც მაკონტროლებელი ჰყავდთ ვინმე, რადგან იქ სხვა ოპოზიციური პარტიები არ არიან ძლიერები; ამიტომაც გაყალბება ხდებოდა ძალიან უხეშად. მაგალითად, გარდაბნის რაიონის მესამე უბანზე ოქმში აღნიშნულია, რომ მოსულია სულ 250 კაცი, ხოლო გამარჯვებულ კანდიდატს მიღებული აქვს 997 ხმა.

წნეხი მიმდინარეობდა ჩვენს კანდიდატებზე, ბევრმა მოხსნა თავისი კანდიდატურა, ერთი გაიქცა აზერბაიჯანში, მაგრამ რომელ ქალაქშია, დღესაც ვერ ვპოულობთ. ასევე მინდა, დაიმახსოვროთ სახელი და გვარი ერთ-ერთი ჩვენი კანდიდატისა, რომელიც გაჩიანში წარვადგინეთ, ეშიდ გაჯიევი. მას ისეთი ფანტასტიკური „ილეთი“ ჩაუტარეს, რომ მოყვე, ამას დიდი რომანისტის ენა სჭირდება, სერიოზული ბელეტრისტიკა...

– თქვენ როგორ მოახერხეთ გადეპუტატება?

– გარდაბანში, როგორც კი გავრცელდა ინფორმაცია, რომ კენჭისყრას ვაპირებდი, ისეთი ამბავი ატყდა, დედა შვილს არ აიყვანდა ხელში. იმუშავეს, გადაწერეს, გადმოწერეს, მაგრამ ბოლოს გაირკვა, რომ ვეტერანთა კავშირიდან 4 კაცი მაინც გადიოდა. ამიტომ ყველაფერი გაკეთეს, რომ ნელ-ნელა პარტიის პროცენტი დაწეულიყო. თუ მიაქციეთ ყურადღება, მთელი საქართველოს მასშტაბით 3600 უბანი დათვალეს არჩევნების მეორე დღის 12 საათამდე. დანარჩენ 300 უბანს კი ითვლიდნენ ორი დღე, მათ შორის გარდაბნის რამდენიმე უბანს. იმიტომ, რომ დაიწყეს ვარიაციები.

წარმოგიდგენიათ, მე ერთმა კაცმა საკრებულოში რა უნდა მოვახერხო, მაგრამ მტრის გულის გასახეთქად, მაინც გავაკეთებ ჩემს საქმეს! ანგარიში გავუწიე ჩემს მეგობრებს, რომელთა ერთადაც ვიყავი ყველა კონფლიქტის ზონაში და მეორეც, ადრეც მითქვამს და ახლაც ვამბობ: არ მოვეშვები გარდაბნის რაიონს. იმიტომ, რომ ისეთი უკანონობა, ისეთი თავგასულობა და ხალხის ჩაგვრა იქ რომ ხდება, წარმოუდგენელია. თუ ჩვენ გვინდა, რომ დემოკრატიის მშენებლობაზე და სახელმწიფოებრიობაზე ვილაპარაკოთ, ეს არ უნდა ხდებოდეს. თბილისიდან 40 კილომეტრში სამხრეთ-აღმოსავლეთით არის „საფაშო“, ხოლო იქეთ, 40 კილომეტრში დგანან რუსული ტანკები. შუაში არის გახარებული, გაბრწყინებული თბილისი... აი, ეს კი სამწუხარო რეალობაა!

– მიმართეთ თუ არა ცესკოს გაყალბების თაობაზე?

– რა თქმა უნდა, ცესკოში განიხილეს ოქმები, უმეტესობა გადაკეთებულია, ან თანდართული აქვს ფურცლები, შეცდომა დავუშვითო, შეიძლება გადაკეთებული იყოს თითქმის ყველა ოქმი ან ნახევარი თავიდან გადაწერილი?! დაახლოებით 2000 ბიულეტენი საერთოდ გაბათილებულია. საია იბრძოდა ხმების ხელახლა გადასათვლელად, მაგრამ ცესკოს კომისიის ყველა წევრმა უარი თქვა საჩივრის მიღებაზე. ჩვენ ამას სასამართლოში აუცილებლად გავასაჩივრებთ.

აი, როცა ხელისუფლება გამოდის და ამბობს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა, ისიც უნდა იცოდეს, რომ ქვედა ეშელონებში მყოფი მისი მხარდამჭერები ხელისუფლების დისკრედიტაციას ახდენდნენ. ბევრმა ჩემმა მეგობარმა გაიმარჯვა არჩევნებში და გულწრფელად ვულოცავ მათ, პატივს ვცემ ირაკლი ღარიბაშვილს, რომელიც არა მგონია, რომ მსგავს დავალებას აძლევდა მხარდამჭერებს, თუმცა, ფაქტია, რომ „ქართული ოცნების“ საამებლად ბევრი უკეთური და უხეში მეთოდებით აყალბებდა არჩევნებს. ეს არის ცუდი. ასეთი ქვედა დონით სახელმწიფო ვერ აშენდება! ასეთი ქვედა დონით მომავალ არჩევნებზე ხელისუფლებას გამარჯვების შანსი არა აქვს!

– ბატონო მამუკა, საინტერესოა თქვენი აზრი ზოგადად არჩევნებზე, როგორ შეაფასებდით 15 ივნისის საარჩევნო გარემოს?

– რაც ჩვენს თავს მოხდა, ეს არის უბედურება. უკეთესის იმედი გვქონდა, მაგრამ მივიღეთ უარესი. უარესი მივიღეთ არჩევნების ჩატარების თვალსაზრისით. რეზულტატზე არ დავიწყებ ლაპარაკს, მხოლოდ ერთ რამეს გავუსვამ ხაზს, როცა არჩევნებზე 37 პროცენტი მოდის, ეს კარგად აჩვენებს, როგორი ნიჰილიზმია საზოგადოებაში, როგორი დაბალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობაა და რა გორ აქვს ხალხს იმედი დაკარგული. ეს ერთი!

მეორე მნიშვნელოვანი მომენტია ის, რომ ტექნოლოგიური თვალსაზრისით იყო საზიზღარი არჩევნები, განსაკუთრებით რეგიონებში. თბილისზე ამას არ ვამბობ, რადგან მე ვაკვირდებოდი არჩევნებს თაიწმინდაზე და არაფერი ამდაგვარი, მცირე დარღვევების გარდა, არ მომხდარა. ხალხნო, თუ ჩვენ ვერ შევეჩვიეთ არჩევნების ნორმალურად ჩატარებას, მაშინ ყოველთვის ვიქნებით ასეთი ნახევარად მოშლილი სახელმწიფო. ეს არის მთავარი! სირცხვილია, იმდენად ბევრ ბიულეტენში იყო შემოხაზული ორი სხვადასხვა პარტიის ნომერი, ნუთუ ამდენი დებილი გვყავს საქართველოში, რომ ვერაფრით ვერ დაიმახსოვრეს, როგორ უნდა ბიულეტენის შევსება?! მესმის, არის უბირი ხალხი, მაგრამ ეს იქნება 0,01 პროცენტი, რომელიც ასე მოატყუეს. ანუ რა, ხელისუფლება მოსახლეობას მიიჩნევს ისეთ არანორმალურად, რომ 80 ათას გაბათილებულ ბიულეტენს აჩვენებს და ეს არ აღელვებს? და ამით რას აღიარებს – რომ თუნდაც აქედან 30 ათასი (მეტს არ ვიტყვი) არის კლინიკური შემთხვევა?! შედეგების ცნობა ამას ნიშნავს, სხვას არაფერს!..

P. S. „ᲫᲐᲚᲘᲡᲛᲔᲚᲘ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲗᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲗᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲛᲐ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐᲛ“ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲡᲘᲘᲗ ᲓᲔᲞᲔᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲒᲕᲐᲜᲐ ᲨᲔᲫᲚᲝ ᲐᲮᲐᲚᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ, ᲜᲘᲜᲝᲬᲛᲘᲜᲓᲘᲡ, ᲒᲐᲠᲓᲐᲑᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲔᲑᲨᲘ. ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘᲡ ᲒᲘᲐ ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲘᲫᲘᲡ თქმით, ხმის დათვლა გრძელდება და პრაქტიკულად გადაწყვეტილია მარნეულის რაიონში მისი დეპუტატის გაყვანა. ასევე ელოდებიან წარმომადგენელთა გადეპუტატებას ბოლნისში, ხაშურში, ლანჩხუთსა და ასპინძაში. „თუ ხელისუფლებამ ბარიერი ხელოვნურად არ დაწია, 8-9 რაიონში დეპუტატი გვეყოლება“, – აცხადებს გია ბერძენიძე.

ᲗᲔᲐ ᲛᲝᲡᲘᲐ

◎ ᲙᲐᲙᲐᲚ ᲒᲣᲚᲨᲘ

ᲬᲔᲠᲢᲘᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲤᲠᲐᲖᲔᲑᲘ

● ᲫᲐᲐᲜ ᲛᲐᲒᲐᲠᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲘᲡ 70%, ᲕᲘᲜᲪ 15-ᲨᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲖᲔ ᲐᲠ ᲛᲘᲕᲘᲓᲐ, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲢᲣᲠᲨᲘ ᲛᲘᲕᲘᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲝᲠᲘᲕᲔ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ ᲒᲐᲓᲐᲮᲐᲖᲝᲡ!

● ᲑᲐᲥᲠᲐᲫᲔᲡ ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲔᲑᲘᲪ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲭᲘᲠᲘᲐ.

● ᲗᲮᲣᲗᲛᲔᲢᲘ ᲬᲣᲗᲘᲐ ᲠᲐᲪ „ᲙᲣᲠᲘᲔᲠᲘ“ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲓᲐ ᲛᲐᲡ ᲐᲥᲔᲗ, ᲕᲘᲜᲛᲔ ᲛᲐᲠᲜᲔᲣᲚᲔᲚ ᲘᲣᲡᲣᲤᲝᲕᲖᲔ ᲛᲐᲣᲬᲧᲔᲑᲚᲝᲑᲡ.

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲣᲠᲗᲠᲝᲑᲚᲔᲛᲝᲓ ᲓᲐ ᲘᲓᲔᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲕᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲗ, ᲠᲝᲛ ᲘᲣᲡᲣᲤᲝᲕᲖᲔ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲗᲣᲠᲛᲔ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲐᲓ.

ᲥᲔᲗᲐ ᲒᲐᲑᲘᲐᲜᲡ ᲠᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲢᲐᲢᲣᲡᲘ ᲐᲥᲕᲡ – ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲘᲐ, ᲞᲝᲚᲘᲢᲝᲚᲝ�გᲘᲐ, ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘᲐ, ᲞᲣᲑᲚᲘᲪᲘᲡᲢᲘᲐ, ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲝᲡᲘᲐ... ᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲐ, ᲭᲙᲕᲘᲐᲜᲘᲐ, ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ, ᲡᲐᲗᲜᲝᲐ, ᲥᲕᲔᲚᲘᲐ, ᲛᲬᲧᲐᲖᲐᲠᲘᲐ... ? – �რᲐᲢᲝᲛ ᲘᲬᲕᲔᲕᲔᲜ ᲢᲔᲚᲔᲓᲔᲑᲐᲢᲔᲑᲨᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲡ?

● ᲔᲒ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲢᲣᲠᲘᲪ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲔᲑᲛᲐ ᲛᲝᲘᲢᲐᲜᲐ ᲓᲐ ᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲗ ᲙᲘᲓᲔᲕ, – ᲛᲔᲡᲐᲛᲔ, ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲢᲣᲠᲐᲛᲓᲔ... ᲢᲣᲠᲔᲑᲡ ᲠᲐ ᲒᲐᲛᲝᲚᲔᲕᲡ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ...

● ᲪᲝᲢᲐ ᲮᲐᲜᲨᲘ, ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲝᲛ ᲕᲘᲥᲜᲔᲑᲘ ᲪᲣᲓᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲐᲠᲔᲡᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲒᲐᲕᲐᲙᲔᲗᲝᲗ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜᲘ, ᲛᲐᲒ ᲐᲛᲑᲐᲕᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲔᲠᲥᲛᲔᲕᲐ ᲗᲣ ᲪᲣᲒᲪᲕᲐᲜᲒᲘ?

● ᲕᲘᲡᲐᲪ ᲒᲯᲔᲠᲐᲕᲗ ᲠᲝᲛ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ ᲜᲐᲪᲔᲑᲡ ᲒᲐᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲡ, ᲩᲐᲓᲘᲗ ᲩᲔᲛᲘ ᲐᲕᲢᲝᲑᲣᲡᲘᲓᲐᲜ!

● ᲐᲛ ᲒᲐᲛᲭᲘᲠᲐᲚ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲡ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲩᲔᲛᲘ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲝᲠᲘ ᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲡ?

ᲔᲒᲖᲘᲢᲞᲝᲚᲔᲑᲘᲗᲘ ᲗᲣ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ, ᲘᲥᲜᲔᲑ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲑᲘᲪ ᲒᲕᲔᲪᲐᲓᲐ, ᲧᲐᲕᲐᲖᲔ ᲛᲙᲘᲗᲮᲐᲝᲑᲐ ᲗᲘᲗᲘᲡ ᲐᲛᲝᲡᲛᲘᲗ ᲐᲜ ᲛᲐᲒᲘᲓᲐᲖᲔ ᲗᲔᲗᲤᲘᲡ ᲢᲠᲘᲐᲚᲘ.

● ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲨᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲛᲔᲡᲕᲔᲣᲠᲔᲑᲛᲐ, ᲨᲔᲘᲢᲧᲕᲔᲡ ᲠᲐ, ᲠᲝᲛ ᲭᲘᲙᲐᲘᲫᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲣᲛᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ, ᲛᲘᲘᲦᲔᲡ ᲒᲐᲓᲐ�წᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ, ᲗᲕᲘᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲢᲣᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲛᲓᲔ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲗᲐᲛᲐᲨᲨᲘ ᲤᲠᲔᲓ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲡ.

● 40% ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲨᲘ ᲧᲠᲘᲐ, 60% – ᲐᲦᲛᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ, ᲡᲐᲛᲘ ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ ᲛᲐᲗᲘᲐ, ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲛᲐᲗᲘᲐ, ᲠᲐᲢᲝᲛ ᲒᲕᲐᲑᲝᲚᲔᲑᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲙᲕᲓᲜᲔᲜ?

ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲔᲠᲭᲘ ᲡᲐᲠᲒᲡᲘᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ... ᲐᲑᲐ ᲛᲘᲗᲮᲐᲠᲘᲗ, ᲐᲛᲐᲡ ᲠᲐ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲢᲐᲜᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ, ᲒᲐᲠᲓᲐ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲒᲐᲔᲠᲗᲝᲑᲘᲐᲜ?

● ᲠᲐ ᲣᲪᲜᲐᲣᲠᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲐ, ᲗᲝ!

ᲛᲝᲛᲬᲝᲜᲡ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲙᲚᲐᲕᲔᲜ, ᲐᲠ ᲐᲬᲐᲛᲔᲑᲔᲜ, ᲐᲠ ᲐᲣᲞᲐᲢᲘᲣᲠᲔᲑᲔᲜ!

ᲐᲠ ᲛᲝᲛᲬᲝᲜᲡ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ!

ᲐᲠ ᲛᲝᲛᲬᲝᲜᲡ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲓᲐᲒᲕᲐᲒᲓᲔᲡ ᲮᲣᲓᲝᲜᲔᲡᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲨᲘ, 100 ᲥᲐᲠᲮᲜᲐᲜᲐᲨᲘ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ 20% ᲠᲝᲛ ᲛᲝᲮᲜᲔᲡ!

ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲐᲠ ᲛᲝᲛᲬᲝᲜᲡ, ᲠᲝᲛ ᲘᲛ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲓᲦᲔᲨᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲘ ᲛᲨᲘᲔᲠᲘ ᲙᲕᲓᲔᲑᲐ, ᲛᲣᲪᲚᲔᲑᲘ ᲠᲝᲛ ᲕᲔᲠ ᲐᲛᲝᲘᲧᲝᲠᲔᲡ!

ᲐᲠ ᲛᲝᲛᲬᲝᲜᲡ ᲩᲕᲔᲜ ᲓᲐ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲒᲕᲘᲙᲘᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲞᲔᲓᲔᲠᲐᲡᲢᲣᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲡ!

ᲐᲠ ᲛᲝᲛᲬᲝᲜᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲔᲑᲡ ᲠᲝᲛ ᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲔᲑᲔᲜ!

ᲐᲠ ᲛᲝᲛᲬᲝᲜᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲘᲭᲔᲠᲔᲜ ᲮᲐᲖᲘᲜᲘᲡ ᲕᲘᲠᲗᲮᲔᲑᲡ!

ᲐᲠ ᲛᲝᲬᲝᲜᲡ ᲛᲐᲗᲘ ᲘᲓᲘᲝᲢᲣᲠᲘ ᲠᲘᲢᲝᲠᲘᲙᲐ!

ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲐᲛᲠᲐᲕᲘ ᲠᲐᲛᲔ ᲐᲠ ᲛᲝᲛᲬᲝᲜᲡ!

ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠ ᲜᲝᲠᲛᲐᲚᲣᲠ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲠᲗᲘ „ᲐᲠ ᲛᲝᲛᲬᲝᲜᲡ“ �გᲐᲛᲝ, ᲛᲝᲘᲡᲕᲠᲘᲓᲜᲔᲜ ᲡᲐᲜᲐᲒᲕᲔᲨᲘ!

ᲓᲘᲗᲘᲠᲐᲛᲑᲘᲡᲢᲔᲑᲝ, ᲠᲐᲨᲘ ᲐᲠ ᲛᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘᲗ?!

ᲐᲛᲝᲙᲠᲘᲑᲐ
ᲒᲘᲐ ᲒᲐᲑᲠᲘᲫᲘᲫᲔ

◎ ᲐᲚᲘᲐᲜᲩᲐᲚᲘᲐᲜᲘ

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲨᲘ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲨᲘ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲛᲔ�გᲠᲔᲚᲝ-ᲖᲔᲛᲝ ᲡᲕᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘᲡ ᲞᲔᲓᲐ�გᲝ�გᲔᲑᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲔᲛᲖᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ.

ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲐ, ᲒᲣᲨᲘᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲛᲐ ᲗᲐᲛᲐᲠ ᲡᲐᲜᲘᲙᲘᲫᲔᲛ ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲔᲚ ᲞᲔᲓᲐ�გᲝ�გᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲓᲐᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲐ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲐᲓᲐᲓ ᲒᲐᲔᲪᲜᲝ ᲡᲐᲞᲠᲝᲔᲥᲢᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲡ.

ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲗ, ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲠᲔ�გᲘᲝᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲙᲚᲔ ᲓᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲕᲐᲓᲘᲐᲜᲘ ᲢᲠᲔᲜᲘᲜᲒᲔᲑᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚ ᲣᲜᲐᲠᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲡᲙᲝᲚᲝ ᲡᲐᲒᲐᲜᲨᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲑᲐ. ᲒᲐᲠᲓᲐ ᲐᲛᲘᲡᲐ, ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲘᲗ, ᲛᲝᲔᲬᲧᲝᲑᲐ ᲡᲔᲛᲘ�ნᲐᲠᲘᲔᲑᲘ, ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ, ᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲐᲡᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠ ᲔᲜᲐᲨᲘ, ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲜᲔᲯᲛᲔᲜᲢᲨᲘ.

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲗ, ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲞᲔᲓᲐ�გᲝ�გᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠ ᲓᲐ ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲔᲑᲡᲐᲪ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲔᲜ.

ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ, ᲣᲬᲧᲔᲑᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲗ, 2014 ᲬᲔᲚᲡ ᲡᲐᲛᲔ�გᲠᲔᲚᲝᲨᲘ ᲓᲐᲒᲔ�გᲛᲘᲚᲘᲐ 54 ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐ, 2 ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲐᲕᲐᲠᲘᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲒᲔ�გᲛᲕᲐ, 6 ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲒᲐᲖᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲐ.

ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲘ

მე შაირი არ მინდოდა...

„ჩოხოსანი“ გოგი დოლიძეზე მაღალი აზრისა არასოდეს ვყოფილვარ. მისი კორექტურული ნაღვაწი, რომელიც სისტემატურად ქვეყნდება ჩემთვის ერთერთ საპატივცემულო გაზეთში, დადებით აზრს ვერ მიქმნიდა მასზე. ჰიპერტროფიული ამბიცია, სხვათა ნაღვაწის უაპელაციო მითვისება არა მგონია, ვინმეს ამშვენებდეს, მათ შორის, არც „ჩოხოსან რაინდთა“ ხელმძღვანელს. ამ ბატონი „რაინდის“ კორექტურულ ნაშრომებში კი, ერთიცა და მეორეც თავზესაყრელად არის, რაზეც ცოტა მოგვიანებით მოგახსენებთ. მე ის უფრო მიკვირდა, სიტყვას რომ არავინ უბრუნებდა. საყვედურს თუ ვერ ჰკადრებდნენ, მადლობა მაინც ეთქვათ, მით უფრო, რომ მის მიერ კორექტურულ შეცდომებში „გამოჭერილი“ წიგნების ავტორები და რედაქტორები ფრიად სახელოვანი მწერლები, მეცნიერები და მოღვაწეები არიან. იქნებ იმიტომ, რომ თავისი მკაცრი შენიშვნების დასაწყისშივე, ბატონი „ჩოხოსანი რაინდი“ ამ გასაკრიტიკებელ ავტორებს თავის მეგობრებად და ახლობლებად მოიხსენიებს? არა, ბატონო, არა! მათ კარგად სცოდნიათ, რომ ამ ბატონ „რაინდთან“ სერიოზულ საუბარს ან შეკამათებას არანაირი აზრი არ აქვს. მათ სცოდნიათ, მე კი ახლა გავიგე...

ამ გაზეთის მკითხველმა იცის, ალბათ, რომ ა. წ. 30 მაისის ნომერში გამოვაქვეყნე წერილი „მითვისებული იდეა“, სადაც შევეცადე გამეფანტა ის მცდარი მოსაზრება, რომელიც გამოთქმული იყო ზემოთ ნახსენები „ჩოხოსანი რაინდის“ გოგი დოლიძის ერთ მცირე ინტერვიუში, დიმიტრი ყიფიანის დაბადების 200 წლისთავთან დაკავშირებით. უფრო ზუსტად: მეოთხედი საუკუნის წინათ, ცნობილ მეცნიერთა, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწეთა მეცადინეობით, სოფელ ქვიშხეთში გაიხსნა დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმი და მას შემდეგ ყოველი წლის 26 აპრილს იმართება „ყიფიანობის“ სახალხო ზეიმი. ასე იყო წელსაც, მით უფრო, რომ ახლა წმ. დიმიტრი ყიფიანის დაბადებიდან 200 წელი შესრულდა. ამ საიუბილეო ზეიმზე ქვიშხეთში გოგი დოლიძე არც არავის უნახავს და არც არავის უხსენებია, ანდა რატომ უნდა ეხსენებინათ, ნეტავი? 2014 წლის 7 მაისს გამოქვეყნებულ ინტერვიუში კი „ჩოხოსანი“ გ. დოლიძე რიხიანად აცხადებს, დიმიტრი ყიფიანის იუბილის გამართვა ხაშურში ჩემი იდეა იყოო!

ჩემი წერილით გოგი დოლიძის გასაკრიტიკებლად კი არ გავრჯილვარ, არამედ მის მიერ გაზეთისათვის მიწოდებული მცდარი ინფორმაცია ფაქტებით გავაქარწყლე და საზოგადოებას სიმართლე ვუთხარი, ვისაც ეს სჭირდებოდა, ცხადია.

როგორც წესი და რიგი მოითხოვს და ეთიკურიც სწორედ ეს არის, წერილი ჯერ იმ გაზეთში უნდა მიმეტანა, სადაც ის, მცდარი ინფორმაციის გამავრცელებელი ინტერვიუ დაიბეჭდა. ასეც მოვიქეცი, მაგრამ, ჩემთვის დღემდე გაუგებარი მიზეზის გამო, იქ მისი გამოქვეყნება არ მოხერხდა. ის გაზეთი ჩემთვის ძვირფასი გამოცემაა, მაგრამ, არისტოტელესი არ იყოს, ჭეშმარიტება უფრო ძვირფასია და წერილი „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოვაქვეყნე.

როგორ ვიფიქრებდი, რომ „ჩოხოსან რაინდს“ ენა (უფრო კი, კალამი!) მოუბრუნდებოდა და გაწიწმატებული „გამომეხმაურებოდა“ (მადლობის თქმას, ცხადია, მისგან არ მოველოდი!). და თუ მაინც არ დაიშლიდა გამოხმაურებას, თავი მაინც ემართლებინა, თუნდაც სულაც ტყუილები ეთქვა (ჯერაც არ უთქვამს, ვითომ?), მთლად ყალბი საბუთები მოეტანა და საკუთარი „ღირსების“ დაცვა ეცადა! ვიტყოდი, კაცია და თავის დაცვას ცდილობს-მეთქი და პასუხის გასაცემად ხელსაც არ გავანძრევდი. მე ჩემი სათქმელი უკვე ნათქვამი მქონდა! მაგრამ, ეს რა დაუწერია ამ „ჩოხოსან რაინდთა“ ხელმძღვანელს და, რა თქმა უნდა, თვითონაც „რაინდს“! თავისი თავისთვისაც კი უჯობნია. მის წერილში ერთი სიტყვა, ერთი მინიშნებაც კი არ არის იმაზე, რაც ჩემს სტატიაში ვთქვი და რამაც დამაწერინა იგი. ერთს კი ამბობს, ზურაბ ცუცქირიძის სტატიას მქუხარე სათაური აქვსო — „მითვისებული იდეა“.

ეს ქუხილი საიდან შემოესმა ნეტავი? „მითვისებული იდეა“ ფრიად პროზაული სათაურია. აი, მისი წერილის სათაური კი, რომელიც ა. წ. 11 ივნისს გამოქვეყნდა იმ, ჩემთვის ფრიად საპატივცემულო გაზეთში, მართლა შეაფიქრიანებს კაცს — „რაინდთა მოთმინების ზღვარი“ (ხოხ!).

შენს წერილში გამოქვეყნებულ ფაქტებზე თუ არაფერს წერს, აბა, რასაა რომ ლაპარაკობს ის კაცია, — იკითხავს გონიერი მკითხველი და მართალიც იქნება. რაზე ლაპარაკობს, ჩემო ბატონო და იმაზე, მისი ჰობი, თუ მოწოდება რაც არის — კორექტურულ თუ ორთოგრაფიულ საკითხებზე.

ისე, კაცმა რომ თქვას, ეს ცუდი სულაც არ არის. ვინმემ თუ გულდასმით წაიკითხა შენი წიგნი თუ სტატია, ჩაეძია, კორექტურა თუ ორთოგრაფიული შეცდომა იპოვნა და მიგითითა, მადლობა უნდა უთხრა, მაგრამ ისეთ ამბიციურ კორექტორს, როგორიც ეს ჩვენი „ჩოხოსანი რაინდია“, მადლობის თქმა რომც გინდოდეს, ვერ ეტყვი, რატომ? იმიტომ, რომ კეთილგანწყობისთვის ადგილს არ დაგიტოვებს! აი, მაგალითად, „ჩოხოსანი“ დოლიძე, რომელსაც, როგორც მისი წერილის სათაურიდან ჩანს, რაინდული მოთმინების ფიალა ავსებია, ჩემზე ლაპარაკს „ტერმინოლოგიური“ შემოტევით იწყებს და რაინდულად ბრძანებს, ჩემს ინტერვიუს „ისე აღუშფოთებია პედაგოგიკის დოქტორი, აკადემიის წევრი, ანუ აკადემიკოსი ბატონი ზურაბ ცუცქირიძე, რომ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (30. V. 2014) რუბრიკით „უსიამოვნო საუბარი“ გამოუქვეყნებია სტატია, რომელსაც მქუხარე სათაური აქვს — „მითვისებული იდეა...“

დავიწყოთ იმით, რომ ეს საუბარი კი არა, ჩვეულებრივი სტატიაა, გნებავთ, მონოლოგი და ნუთუ ამდენი აღარ უნდა იცოდეს პედაგოგიკის დოქტორმა, თანაც განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრმა, ანუ აკადემიკოსმა?! „საუბარი“ მაშინ იქნებოდა, ვინმესთან მართლა რომ ესაუბრა, ებაასა, ემუსაიფა, ემასლაათა...“ და ა. შ. აღარ გავაგრძელებ!

ბატონ გოგი დოლიძეს მოკლედ რომ ეთქვა, განმარტებით ლექსიკონში მითითებულია, რომ საუბარი არის მშვიდი ლაპარაკი ვინმესთან და შენი სტატია კი მონოლოგიაო, ზრდილობის გამო, მადლობას ვეტყოდი ჩემი წერილის გულდასმით წაკითხვისათვის და თან ავუხსნიდი იმას, რისი ცოდნაც კორექტორს იქნებ არც მოეთხოვებოდეს, პედაგოგიკის დოქტორს — კი. კერძოდ, საუბარი მართლაც მშვიდი ლაპარაკია ვინმესთან, მონოლოგი კი საკუთარი თავისადმია მიმართული, რომელიც შეიძლება სულაც არ იყოს მშვიდი, მაგალითად, ჰამლეტი რომ ელაპარაკება თავისთავს (შექსპირის ჰამლეტი, რა თქმა უნდა!). ჰო, და ჩემო ბატონო რაინდო, თქვენ გგონიათ, მე საკუთარ თავს ველაპარაკები გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე-მეთქი, — ვეტყოდი. ჩემი წერილით, ათასობით მკითხველს ვუთხარი, დიმიტრი ყიფიანის იუბილის გამართვის იდეა „ჩოხოსანი რაინდების“ ხელმძღვანელს არ ეკუთვნის-მეთქი.

„ჩოხოსანი რაინდის“ კორექტურულ-ორთოგრაფიული ვნებანი

ამას ვეტყოდი და იმასაც დავუმატებდი, რომ ათობით წიგნია გამოცემული ჩვენშიც და სხვაგანაც, რომლებსაც ყდებზე დიდი ასოებით აწერიათ: „საუბრები ხელოვნებაზე“, „საუბრები მშობლებთან“, „საუბრები პროფესიათა შესახებ“ და ა. შ. თუ მომისმენდა, გაიგებდა, რომ მკითხველთან საუბარი შეიძლება გაზეთიდანაც, წიგნის საშუალებითაც, ტელევიზიითაც და, რა თქმა უნდა, უშუალოდაც. ამის არცოდნა შეიძლება ეპატიოს კორექტორს, მაგრამ ამ არცოდნით სხვისი შეწუხება მოსაწონი არ არის.

ერთხანს, სიტყვის სემანტიკაზე მსჯელობას შევეშვები, ეს ჩვენი „ჩოხოსნის“ კომპეტენციას სცილდება და ერთ რიტორიკულ კითხვას დავსვამ: ერთი იმას თუ გამაგებინებს ვინმე, მე რას ვეუბნები და ვსაყვედურობ ამ „რაინდს“ და ის რაზე მელაპარაკება? მე საჯაროდ ვამხილე ეს ჩვენი „რაინდი“ სხვისი ნაკეთები საქმის მითვისების მცდლეობაში, ის კი „საუბრის“ სემანტიკურ მნიშვნელობას „მიხსნის“. სწორედ ამაზეა ნათქვამი — „Я ему про Ивана, а он про Селивана“.. მაგრამ, რა ჰქნას, მას ხომ დაუცხრომელი მიდრეკილება აქვს იმისა, რომ ორთოგრაფიული თუ სტილისტური შეცდომები აღმოუჩინოს ადამიანებს და მერე დატუქსოს, მაგალითად, ასე: „შარშან ამ საკითხებზე გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე (22. VIII და 13. IX) საგანგებო სემინარებიც კი ჩავუტარე მწერლებს, რომლებიც ერთობ დახუნძლულები კი არიან უმაღლესი საპატიო წოდებებითა და პრემიებით, მაგრამ დღემდე დეფისი ტირესგან ვერ გაურჩევიათ“.

უყურე შენ. საგანგებო სემინარებიც კი ჩაუტარებია. ორთოგრაფიულ ლექსიკონებს რომ „უდგენს“ ცალკეულ ავტორებს, ვიცოდი, მაგრამ სემინარებსაც თუ უტარებდა, არ ვიცოდი. ისე, ცოტა არ იყოს, გაბედულება კი სჭირდება იმ კაცს, რომელიც წიგნის ავტორს მიუთითებს „აწი“ არასწორია, უნდა თქვა და წერო „ამიერიდან“ და „ამის შემდეგო“, ჩვენს რაინდს ეს, ცხადია, ორთოგრაფიულ ლექსიკონში ამოუკითხავს და ამიტომ ურყევი ჭეშმარიტება ჰგონია. ის კი არ იცის, რომ დღეს ბევრი გამოჩენილი მწერალი, მეცნიერი და პუბლიცისტი იყენებს „აწი“-ს, როგორც ერთობ ტევად და ლაკონურ გამოთქმას. „აწ და მარადის...“ მაინც გაეგონოს, იქნებ. იქვე, იმავე ავტორს, რომელსაც „რაინდმა“ საგანგებოდ „შეუდგინა„ ორთოგრაფიული ლექსიკონი, თავის წიგნში უწერია, თურმე, „ეროვნულ-განმათავისუფლებელი“, „ჩოხოსანი“ კი მიუთითებს: უნდა ეწეროს „ეროვნულ-განმათავისუფლებელიო“. იმ ორთოგრაფიულ ლექსიკონში, საიდანაც ამ ჩვენმა იდეების მიმთვისებელმა „რაინდმა“ გადმოწერა „თავისი ორთოგრაფიული ლექსიკონი“, მართლაც „განმათავისუფლებელი“ წერია, მაგრამ, მერე რა? სწორია „გათავისუფლება“ და არა „განთავისუფლება“ (თუ, რა თქმა უნდა, თავისუფლების მინიჭება იგულისხმება და არა მისი წართმევა!).

„ჩოხოსანი რაინდის“ ორთოგრაფიულ წიაღსვლებს მეტად ვეღარ გამოვეკიდები, მკითხველისათვის, ვფიქრობ, ისედაც ყველაფერი გასაგებია, „ჩოხოსან რაინდს“ კი, მისგან განსხვავებით, უფასო სემინარებს ვერ ჩავუტარებ.

ახლა ისევ „პირველსა სიტყვასა ზედა“ მივიდეთ.

„ჩოხოსნის“ წერილი ერთობ „დამზაფრავი პათოსით მთავრდება: „მოვითხოვ: ბატონმა ცუცქირიძემ, კეთილი ინებოს და წარმოადგინოს ამ „აღიარების“ ვიდეო თუ სტენოგრაფიული ჩანაწერი ჩვენი (?! — **ზ. ც.**) გაზეთის მორიგი ნომრისთვის“.

ცოტა ხანს აქ შევიცადოთ!

რის ვიდეო თუ სტენოგრაფიულ ჩანაწერს ითხოვს მისი „რაინდული ბრწყინვალება“? სხვათა შორის, არაერთმა კაცმა დამირეკა და მკითხა, იქნებ თქვენ იცოდეთ, რისი „აღიარების“ ვიდეო თუ სტენოგრაფიულ ჩანაწერს მოითხოვსო „რაინდი“. კარგად არც მე ვიცი, მაგრამ ეჭვი მაქვს, იმ „აღიარებას“ გულისხმობს, მე რომ ვთქვი 30 მაისს გამოქვეყნებულ წერილში „იდეის მიმთვისებელი“. რა ვთქვი და, ჩოხის ჩაცმა თავისთავად არ ნიშნავს-მეთქი რაინდობას. აგერ ჩოხოსანმა პარლამენტარებმა ერთხმად აღიარეს: ჩვენ და პედერასტები ერთნაირად ნორმალური ადამიანები ვართ და არავინ მოიწადინოს ჩვენს შორის განსხვავების გამოჩხრეკაო. კი, ამას გულისხმობს, ალბათ. მერე, რა ვიდეო და სტენოგრაფიული ჩანაწერი სჭირდება ამას? მათ მიერ ერთხმად(!) მიღებული ანტიდისკრიმინაციული კანონი ჩემი ნათქვამის დადასტურება არ არის, განა?

ჩემი მტერი ვერ მიხვდა ამას!

ახლა ნახეთ, წერილის დასასრულს რას ამბობს ეს „შავჩოხოსანი რაინდი“ ესა: „წინააღმდეგ შემთხვევაში (ე. ი. მე თუ არ წარვადგენ სტენოგრაფიულ ან ვიდეოჩანაწერს — **ზ. ც.**), მისი ასეთი მკრეხელობა (ამ „რაინდმა“, მგონი, არც „მკრეხელობის“ მნიშვნელობა იცის — **ზ. ც.**), სხვა უამრავ ფაქტობრივ აბსურდსა (ერთი მაინც დაესახელებინა — **ზ. ც.**) და უზნეობასთან (ხოხ! — **ზ. ც.**) ერთად, თავდაპირველად გადაეცემა განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს, შემდეგ კი სამართლებრივ სივრცეში გადაინაცვლებს!“

მომეჩვენა, თუ მართლა მემუქრება? ნამდვილად მემუქრება! რახან ასეა, დათა თუთაშხიამ რომ შეუძახა ბოდღო ყაჩაღსა და მის ამფსონებს დურუ ძიგუას დუქანთან, თქვენი ნებართვით, მეც ასე უნდა შევძახო ამ „რაინდს“ და წავიდე ჩემს გზაზე: ის კაცი არ ხარ, მე რომ დამემუქრები, შენს ცნობილ ნაცნობ-მეგობრებს რომ დატუქსავ მათ წიგნებში აღმოჩენილი კორექტურული და ორთოგრაფიული შეცდომების გამო, ის კაცი ხარ შენ!

ზურაბ ცუცქირიძე.

P. S. „ჩოხოსნის“ წერილს ფოტოკადრები ახლავს კინოფილმიდან „ვერისუბნის მელოდიები“. ერთ-ერთზე ის კადრია აღბეჭდილი, სადაც პოლიცმაისტერის ქცევით გაკვირვებული აღა გეურქა იმ პოლიცმაისტერის მისამართით ამბობს: „ლეტნად არის, აი!“

ვისაც ჩემი წერილი წაკითხული აქვს და მერე მასზე „ჩოხოსანი რაინდის“ გამოხმაურებაც უნახავს, ადვილად მიხვდება „ლეტნად“ ვინც არის.

ზ. ც.

◎ ალიანჩალიანი

იაპონურმა მხარემ საქართველოს 5 მლნ აშშ დოლარი გამოუყო

საქართველოსა და იაპონიის მთავრობებს შორის ნოტების გაცვლით დასადებ შეთანხმებას 500 მლნ იაპონური იენის (დაახლოებით 5 მლნ აშშ დოლარი) ოდენობის არასაპროექტო გრანტის გამოყოფის თაობაზე და თანდართულ დოკუმენტაციას ხელი საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა და იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ტოშიო კაიტანიმ მოაწერეს.

არასაპროექტო გრანტი გამოყენებული იქნება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჭიროებისთვის, კერძოდ, საგრანტო დახმარების ფარგლებში, იგეგმება როგორც კვლევის თანამედროვე მაღალტექნოლოგიური აპარატურის, ასევე ამბულატორიული მომსახურების მიზნით გამოსაყენებელი აღჭურვილობის შეძენა.

აღნიშნული გრანტი იაპონიის არასაპროექტო საგრანტო პროგრამის ფარგლებში რიგით მერვე დახმარებაა. იაპონიის მთავრობის მიერ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში 1997 წლიდან დღემდე საქართველომ მიიღო დაახლოებით 4 მილიარდი იაპონური იენი, მათ შორის, გარემოს დაცვის, სოფლის მეურნეობის სექტორისა და სხვადასხვა მუნიციპალიტეტის მხარდაჭერის მიზნით.

ინტერპრესი

◎ ანალიზი

წითლები, ლურჯები და ნაცრისფრები,

ანუ როგორც შენ იტყვი, ვანო უფროსო!

„ძართული ოცნება“ აცხადებს, რომ არჩევნებში მეორედ დაამარცხეს წითლები და საქართველო ყველა მუნიციპალიტეტში „გალურჯდა“.

არჩევნების შემდეგ ნაციონალებიც იმედიანად არიან და, როგორც ყოფილი პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილი ციხიდან იტყობინება, „მომდევნო არჩევნებზე „ოცნებას“ წაგება გარანტირებული აქვს“.

სამაგიეროდ, არჩევნების შედეგებით უკმაყოფილონი არიან არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები. ისინი საამისოდ ობიექტიურ და სუბიექტურ მიზეზებზე საუბრობენ. საარჩევნო ბლოკ „ნინო ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიციის“ თბილისის მერობის კანდიდატ დიმიტრი ლორთქიფანიძისთვის **„არჩევნები ერთი დიდი ავანტიურა იყო, რომელზეც „ქართული ოცნება“ პასუხს აგებს“.**

არასაპარლამენტო ოპოზიციის თბილისის მერობის ყოფილი კანდიდატი კახა კუკავა კი, რომელიც ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინათ აცხადებდა, რომ **„თვითმმართველობის არჩევნები „ქართული ოცნების“ დასაფლავების დღედ უნდა ქცეულიყო“, დღეს აცხადებს, „ყველაფერი გაკეთდა, რომ რეალური ოპოზიცია ბარიერს მიღმა დარჩენილიყო“.**

ჩვენ დავინტერესდით, ამ გადასახედიდან როგორ აფასებს არასაპარლამენტო ოპოზიცია, რომ თავის დროზე დიდი ოპოზიციური გაერთიანება ვერ მოახერხა და, ფაქტობრივად, ამით ნაციონალებს დაუთმო ასპარეზი?!

„დემოკრატიული მოძრაობის“ გენერალურმა მდივანმა ზაზა ვეკუამ For.ge-სთან საუბრისას აღნიშნა, რომ პირადად მონაწილეობდა ოპოზიციურ პარტიებთან მოლაპარაკებებში და ერთიანობისთვის ყველაფერი გააკეთა, თუმცა, შედეგი არ დადგა.

მისი თქმით, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ცხრა წლის მანძილზე ისეთი სქემა ააწყო, რომ სატელიტი პარტიები დატოვა, რომლებთანაც, ცხადია, ისინი ვერ გაერთიანდებოდნენ. არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე ისინი ისეთ რამეს გააკეთებდნენ, რაც საარჩევნო ბლოკ „ნინო ბურჯანაძე - ერთიან ოპოზიციას“ საერთოდ დააქცევდა – **„ღირსეული პარტიები რომ ყოფილიყვნენ, მეორე ადგილზე მოვხვდებოდით, მაგრამ საეჭვო მიზნები ჰქონდათ პარტიებს“.**

გარდა ამისა, ზაზა ვეკუას თქმით, საარჩევნო გარემო არ იყო მოწესრიგებული, არაფერი გააკეთა დღევანდელმა მმართველმა გუნდმა ბიომეტრიული სიებისთვის, მათ გააგრძელეს ნაციონალების მიერ შემოტანილი კანონებით მანიპულირება.

„ჩვენ კომისიის წევრებიც არ გვყავდა, დანარჩენმა კომისიის წევრებმა ხელი აუწიეს და ჩვენი წარმომადგენლები გამოყარეს. არჩევნების მთელი ღამის განმავლობაში გახლდით ისანში 28-ე უბანზე. ორივე წარმომადგენელი გამოყრილი დამხვდა და რა დათვალეს და როგორ გადათვალეს, კაცმა არ იცის“.

ამიტომ „ნინო ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიცია“ თვლის, რომ მათ ხმები დაკარგეს, რის გამოც ხმების ხელახალ გადათვლას ითხოვენ.

არასაპარლამენტო ოპოზიციის თბილისის მერობის ყოფილი კანდიდატი კახა კუკავა ჩვენთან საუბრისას აცხადებს, რომ ერთობისთვის მან ყველაფერი გააკეთა, მაგრამ ყველასგან უარი მიიღო, ხოლო, ვისგანაც უარი არ მიიღო, იმ ორ პარტიასთან ერთად გაერთიანდა კიდეც.

საქართველოს „პატრიოტთა ალიანსის“ თბილისის მერობის ყოფილი კანდიდატი ირმა ინაშვილი For.ge-სთან საუბარში მიიჩნევს, რომ ცხოვრებაში არის ეტაპები, როცა აუცილებელია ოპოზიციის გაერთიანება. გასული ათი წლის განმავლობაში რამდენიმე ასეთი მომენტი იყო, როცა ოპოზიცია გაერთიანდა, მაგრამ ზოგჯერ ასეთი გაერთიანება ხალხის დაკვეთა არ არის.

„ამ არჩევნებისას არ მოხერხდა ოპოზიციის გაერთიანება, ჩვენ მათ ვთავაზობდით, მერობის ჩვენი კანდიდატისთვის, ანუ ჩემთვის მხარი დაეჭირათ და ოპოზიცია გაერთიანებულიყო არა პოლიტიკოსის, არამედ ჟურნალისტის ირგვლივ, რომელიც ოპოზიციის საერთო კანდიდატი იქნებოდა. თუმცა, რატომღაც არ მოხდა შეთანხმება. ჩვენ პოლიტიკური ინტერესებიდან არ გამოვდიოდით, თორემ ჩვენც გვყავს ლიდერი პოლიტიკოსები, რომლებიც არ დაგვიყენებია მერობის კანდიდატებად. ჩვენ შევჩერდით ნეიტრალურ კანდიდატურაზე. ყველამ თავისი პერსონა დააყენა მერობის კანდიდატად. ჩვენი აზრით, უკეთესი იქნებოდა, მომხდარიყო გაერთიანება ჩვენი კანდიდატის ირგვლივ.

მეორე პრობლემას ქმნიდა, რომ ოპოზიციურ გაერთიანებებში აღმოჩნდა ქდმ და „მემარჯვენეები“, ხალხის განწყობა ამან დაამძიმა და ოპოზიციისადმი პრობლემა შექმნა. ეს უნდა ვაღიაროთ და ეს ყველაფერი უნდა გაანალიზდეს. ყველა წავიდა თავისი გზით და ამ გზაზე ვინ რა უპირატესობა მოიპოვა, ყველა ვხედავთ“, – გვითხრა ირმა ინაშვილმა და განმარტა, რომ ოპოზიციას დიდი გაერთიანება რომ მოეხერხებინა, მეორე ადგილს აუცილებლად არასაპარლამენტო ოპოზიცია დაიკავებდა.

მანანა ნოზაძე

◎ რეიტინგი

მდიდრები ამა ქვეყნისა

სახელოვანი, მდიდარი, გავლენიანი, ზოგადად, ცნობილი ადამიანები ნებისმიერ ქვეყანასა და, როგორიც გნებავთ, სახელმწიფო მოწყობის დროს, მუდამ საზოგადოებრივი ცხოვრების ავანსცენაზე არიან და ხალხის ყურადღების ცენტრში იმყოფებიან. გარკვეული ნიშნით გამორჩეულ პირთა შესახებ ნაირ-ნაირ მასალებს უკლებლივ ყველა ქვეყნის სატელევიზიო და რადიოარხი, ათასნაირი მიმართულების წამყვანი გაზეთი, სოლიდური ჟურნალი თუ ეგრეთ წოდებული ტაბლოიდი აქვეყნებს.

ამ ჯერზე ლაპარაკი გვექნება მსოფლიოში მეტად ავტორიტეტული საფინანსო გამოცემის „ფორბსის“ მიერ შედგენილ ერთობ საგულისხმო რეიტინგზე, რომელშიც რედაქციამ მსოფლიოს უმდიდრესი, მაშასადამე, საზოგადოებრივი გავლენით გამორჩეული ადამიანები ქვეყნების მიხედვით დააჯგუფა და მათი ქონების ღირებულება ისევ მათივე ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობას შეადარა.

ჟურნალისტების მიერ შედგენილი რეიტინგი ადასტურებს, რომ გავრცელებული აზრი, თითქოს უმდიდრეს ადამიანთა სახელმწიფო და საზოგადოებრივი გავლენა ყველაზე მეტად იმ ქვეყნებშია, სადაც ისინი სხვა ქვეყნებთან შედარებით მეტნი არიან, მცდარია. მართალია, მათ გარკვეული, საკმაოდ მნიშვნელოვანი გავლენა კი აქვთ, მაგრამ ეს გავლენა შეუდარებლად დიდია პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში, სადაც მილიარდერთა ქონება მათი ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობასთან შესადარი სიდიდეებია.

აღსანიშნავია, რომ იმ პირველი ათეული ქვეყნის გეოგრაფია, სადაც უმდიდრეს ადამიანთა ქონება ეკონომიკაში მთლიანი შიდა პროდუქტის სოლიდურ ნაწილს წარმოადგენს, საკმაოდ მრავალფეროვანია: **საქართველო, რუსეთი, შვედეთი, ლიბანი, ისრაელი, უკრაინა, ფილიპინები, ჩილე, ამერიკის შეერთებული შტატები და ტაივანი.**

ბევრს იქნებ გაუკვირდეს, მაგრამ „ფორბსის“ მიერ შედგენილი რეიტინგის პირველ ნომრად **საქართველოს** დასახელება გასაოცარი იმიტომ არ არის, რომ ბატონი ბიძინა ივანიშვილის ქონება (5,2 მილიარდი დოლარი) საქართველოში წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის 32 პროცენტს უდრის, რაც ნუსხის სხვა ქვეყნებში უმდიდრეს ადამიანთა ქონების ანალოგიურ მაჩვენებელზე გაცილებით მეტია. ამის თვალნათელი მაგალითია თუნდაც მეორე ადგილზე მყოფი **რუსეთი,** სადაც 111 მილიარდერის ერთობლივი ქონება, რომელიც 422 მილიარდ დოლარს აღწევს, ქვეყანაში წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულების მხოლოდ 20 პროცენტია. ამის მიზეზი, ცხადია, ისაა, რომ საქართველოს და რუსეთის როგორც ტერიტორიები, ბუნებრივი პოტენციალი, ასევე ეკონომიკები და, შესაბამისად, წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა, ერთმანეთთან შეუდარებელია.

ზოგადად კი უნდა ითქვას, რომ საქართველოსა და რუსეთის გარდა, „ფორბსის“ რეიტინგის ლიდერთა ათეულში პოსტსაბჭოთა სივრცის კიდევ ერთი ქვეყანაა, უკრაინა, სადაც ყველა უმდიდრესმა ადამიანმა, ჟურნალისტების აზრით, ქონების თავმოყრა ერთი და იმავე გზით ძირითადად სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის გზით შეძლო – ეს იქნებოდა უზარმაზარი ქარხანა-ფაბრიკები, ბუნებრივი რესურსები თუ სოფლის მეურნეობის ობიექტები, რომელთა ფასმა, გონივრული მენეჯმენტის ხელში, ბოლო ორნახევარი ათეული წლის განმავლობაში, რაც სსრ კავშირის დაშლის შემდეგ გავიდა, რამდენჯერმე მოიმატა.

მესამე პოზიცია „ფორბსის“ რეიტინგში ევროკავშირის წევრი ერთადერთი ქვეყანაა, **შვედეთი,** სადაც 17 ადგილობრივი მილიარდერის მფლობელობაში ერთობლივად არსებული 99 მილიარდი დოლარი ქვეყანაში წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის 18 პროცენტს შეადგენს.

ლიდერთა სამეულს **ლიბანი** მოჰყვება, სადაც ქვეყნის მოქალაქე სამი მილიარდერის ქონება „მხოლოდ“ 7,7 მილიარდ დოლარს აღწევს, თუმცა კი, ქონება მთლიანი შიდა პროდუქტის 17 პროცენტს შეადგენს.

„ფორბსის“ რეიტინგის რიგით მეხუთე ნომერია **ისრაელი,** სადაც ისევე, როგორც შვედეთში, მილიარდერთა სიაში ასევე 17 კაცია, თუმცა კი, მათი ერთობლივი ქონება ნაკლებია და 44,8 მილიარდ დოლარს შეადგენს, რაც ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 16 პროცენტს უდრის.

აღნიშნული ნუსხის მეექვსე-მერვე ადგილებს ეროვნულ ეკონომიკაში წარმოებული პროდუქციის 15-პროცენტიანი წილით **უკრაინის, ჩილესა** და **ფილიპინების** უმდიდრესი ადამიანები იყოფენ. მათ შორის, ცხრა უკრაინელი ოლიგარქის ერთიანი ქონება 26,6 მილიარდი დოლარია, 12 ჩილელისა – 41,3 მილიარდი დოლარი და 10 ფილიპინელისა – 40,1 მილიარდი დოლარი.

რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მსოფლიოს უმდიდრესი ქვეყანა **ამერიკის შეერთებული შტატები** „ფორბსის“ რეიტინგის ათეულის ბოლოსკენ მოექცა, თუმცა კი, იქ მსოფლიოში ყველაზე მეტი მდიდარი კაცი – 492 მილიარდერი ცხოვრობს, რომელთა ერთობლივი ქონება ასტრონომიულ ციფრს – 2,3 ტრილიონ დოლარს აღემატება(!). აღსანიშნავია ისიც, რომ რეიტინგის ქვეყნების ოლიგარქთა ერთიან ქონებას ეს თანხა ბევრად აღემატება, მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკა იმდენად მძლავრია, რომ ასეულობით და ათასეულობით მილიარდი დოლარიც იქ წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 14 პროცენტს უდრის.

„ფორბსის“ ამ რეიტინგის ათეულის „ჩამკეტი“ კი **ტაივანია,** სადაც 27 მილიარდერის ერთად კუთვნილი 66,3 მილიარდი დოლარი, ისევე, როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში, მთლიანი შიდა პროდუქტის 14 პროცენტს შეადგენს.

საგულისხმოა აგრეთვე ისიც, რომ ზემოჩამოთვლილი ათი ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტური უმცირესობის (599 კაცის) ხელში ეკონომიკური და ფინანსური სახსრების აბსოლუტური უმეტესობაა მოქცეული. თუმცა კი, ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ტენდენცია მარტო მათთვის კი არა, არამედ თითქმის ყველა დანარჩენი ქვეყნისთვისაა დამახასიათებელი.

ოთარ ტურაბელიძე

◎ ალიან-ჩალიანი

კოლხური ხოხობი - დედოფლისწყაროში

საძართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები დედოფლისწყაროში, კოლხური ხოხბის აღდგენის პროექტს გაეცნენ.

გარემოს დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, პროექტის გასაცნობად დედოფლისწყაროში იმყოფებოდნენ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილე შალვა ამირეჯიბი, დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარე რატი ჯაფარიძე და გაერო-ს განვითარების პროგრამის წარმომადგენელი საქართველოში ნილს სკოტი.

მათ ვაშლოვანის მეგობართა ასოციაციის მიერ დაარსებული კოლხური ხოხბის საშენი დაათვალიერეს.

პროექტის ხელმძღვანელებმა ბუნებიდან ველური ხოხბის კვერცხები ამოიღეს და მათი ინკუბაცია ხოხბის საშენში მოახდინეს. დღეისათვის ვოლიერებში 100 ზრდასრული და 150-მდე ლაპი იმყოფება.

პროგრამის ფარგლებში იგეგმება ანალოგიური კოლხური ხოხბის საშენების მოწყობა სამ სამონადირეო მეურნეობაში. მოგვიანებით უკვე გამრავლებული ხოხბების ბუნებაში გაშვება მოხდება, მათზე ნადირობის მიზნით.

◎ სიმართლის პირისპირ

„იმედის“ ეგზიტპოლებმა ხელისუფლება მწარედ მოატყუა

„იმედის“ ეგზიტპოლებმა ხელისუფლება გაბითურებული დატოვა — ეგზიტპოლის სანდოობაში დარწმუნებულმა „ქართულმა ოცნებამ“ უპირობო გამარჯვების აღსანიშნავი ისეთი ფეიერვერკი მოაწყო, ლამის ნაციონალებიც კი უკან მოიტოვა —რამდენიმე საათში აღმოჩნდა, რომ „იმედის“ ეგზიტპოლები დასაშვებზე მეტი პროცენტით ტყუოდა, ხოლო დედაქალაქსა და საქართველოს თვითმმართველი ქალაქების უმეტესობაში არჩევნების მეორე ტური იყო ჩასატარებელი.

ხელისუფლებას სპეციალურად მოუწყვეს ასეთი „სიურპრიზი“ თუ უნებლიედ მოხდა ასეთი გადაცდომა, ამას უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს. როგორც ჩანს, სასწრაფოდ დაიწყო გარკვევა, რეალურად რა მოხდა და ზომებიც მიიღეს. მედიაში მაშინვე გაჟონა ინფორმაციამ ტელეკომპანია „იმედში“ საკადრო ცვლილებების შესახებ. ითქვა, რომ საუბარია ტელეკომპანიის დირექტორის რევაზ საყევარიშვილის, გენერალური პროდიუსერის გიორგი ბახტურიძის და საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანლის ბაია ცანავას საკადრო გადაადგილებებზე.

For.ge-მ გავრცელებული ინფორმაციის გადამოწმება უშულაოდ დასახელებულ პირებთან სცადა, თუმცა, მათთან კონტაქტი ვერ მოხერხდა.

მეორე დღეს თავად ტელეკომპანია „იმედმა“ გაავრცელა განცხადება საარჩევნო ეგზიტპოლებთან დაკავშირებით.

„საზოგადოებაში არსებული მაღალი ინტერესის გათვალისწინებით, ტელეკომპანია „იმედის“ დამფუძნებლები და მენეჯმენტი ვაცხადებთ, რომ ტელეკომპანია ეგზიტპოლების შემსრულებელ კომპანიასთან არკვევს ეგზიტპოლსა და არჩევნების ოფიციალურ წინასწარ შედეგებს შორის არსებული ცდომილების მიზეზებს და მოგვიანებით გააკეთებს შესაბამის განცხადებას. ამავდროულად, ხაზგასმით გვინდა, აღვნიშნოთ, რომ ტელეკომპანიის მენეჯმენტში არ განხორციელებულა არანაირი საკადრო ცვლილება“, — ნათქვამია ტელეკომპანიის განცხადებაში.

ტელეკომპანიის კულუარებში უკვე ვრცელდება ინფორმაცია ახალი გენერალური დირექტორის ვინაობის შესახებ და ერთ-ერთ სავარაუდო კანდიდატად „რუსთავი 2-ის“ ყოფილი ხელმძღვანელი ნიკა ტაბატაძეც სახელდება.

ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი თვლის, რომ უმჯობესია, მოვლენათა განვითარებას დაველოდოთ და წინასწარი დასკვნებისაგან თავი შევიკავოთ

„რამდენადაც ვიცი, თავად იმედის მენეჯმენტი იძიებს ამ საქმეს, დაველოდოთ. ეგზიტპოლების მიმართ დამოკიდებულება მუდმივად განსხვავებულია. მას შემდეგ რაც ეგზიტპოლების საფუძველზე, ხმების დათვლის დაწყებამდე, 2008 წლის იანვარში ამერიკის პრეზიდენტმა გამარჯვება მიულოცა საკაშვილს, რომელიც იმ დროს გულგახეთქილი იყო მხოლოდ 47%-ის მიღებით, ამის შემდეგ ეგზიტპოლები ჩემთვის სანდო წყაროს არ წარმოადგენს“, — აცხადებს ცისკარიშვილი.

For.ge-ს წყაროს ინფორმაციით, ბაია ცანავას, რევაზ საყევარიშვილისა და გიორგი ბახტურიძის სამეთვალყურეო საბჭოში გადაყვანა არხის მფლობელებმა გადაწყვიტეს, ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემების (საუბარია სოლიდური თანხის გაფლანგვაზე) გამომდინარე. ასეთ შემთხვევაში, მათ საინფორმაციო პოლიტიკის უშუალოდ განსაზღვრა არ შეეძლებათ, ხელფასს კი სოლიდურს მიიღებენ. For.ge-ს წყაროს ინფორმაციით, „იმედში“ საკადრო გადაადგილებაზე საუბარი დაახლოებით ორი თვეა, მიმდინარეობს და არ უკავშირდება ეგზიტპოლებს.

მას შემდეგ, რაც „იმედი“ პატარკაციშვილებს დაუბრუნდა, ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ „მეცხრე არხის“ დახურვის შემდეგ ის ხელისუფლების დასაყრდენი ტელევიზია გახდებოდა, თუმცა, „იმედმა“ ეს იმედები არ გაამართლა და ზოგჯერ ლამის ჩასაფრებულის პოზიციაში ჩაუდგა ხელისუფლებას. ამიტომაც ხშირად ჩნდება კითხვა, რეალურად ვისი გავლენის ქვეშ მოექცა ტელეკომპანია?

ტელეკომპანია „იმედის“ მფობელია Georgian Media Production Group რომლის მფლობელიც „იმედის“ დამფუძნებლის ბადრი პატარკაციშვილის ქვრივი ინა გუდავაძეა.

2012 წლის არჩევნებში დამარცხებულმა სააკაშვილის ხელისუფლებამ პატარკაციშვილებთან სასამართლო დავას გარიგებაზე წასვლა არჩია და ბიზნესმენის ოჯახს ბიზნესაქტივები დაუბრუნა. პატარკაციშვილების ოჯახმა სახელმწიფოსთან დავა შეწყვიტა და ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლოდან სარჩელი გამოიტანა.

მოკლედ, პატარკაციშვილის ოჯახს 2007 წლის ბოლოს წართმეული ტელეკომპანია 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებიდან რამდენიმე დღეში დაუბრუნეს. „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ კვლევის თანახმად, ოჯახს მჭიდრო კავშირი ჰქონდა მაშინ ჯერ კიდევ ხელისუფლებაში მყოფ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“.

პატარკაციშვილების ოჯახს ასევე დაუბრუნეს მთაწმინდის პარკი, „ბორჯომი“, რომლის აქციათა უდიდესი წილი რუსულ კომპანია Alfa Group-ს მიჰყიდეს 2013 წლის დასაწყისში. პატარკაციშვილის ოჯახის მფლობელობაშია „მაგთიკომი“ (46%). მათ ეკუთვნოდათ „რუსთავი ფოლადიც“ რომლის საკუთრების საკითხზე სასამართლომ ჯოზეფ ქეის სასარგებლო გადაწყვეტილება მიიღო სწორედ ამ ხელისუფლების პირობებში.

2008 წელს, ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალების შემდეგ, ინა გუდავაძემ, ტელეიმედისა და მთაწმინდის პარკის წართმევის პასუხად, საქართველოს მთავრობას პარიზის საარბიტრაჟო სასამართლოში უჩივლა და ზიანის ანაზღაურების სახით, 400 მილიონი დოლარი მოითხოვა.

თავის დროზე, როგორც ჯოზეფ ქეი ირწმუნებოდა, სწორედ „ნაციონალური მოძრაობა“ დაეხმარა გუდავაძეს მისთვის მეტალურგიულის წართმევაში. ამ პერიოდში პატარკაციშვილებმა „ქართული ფოლადის“ რეაბილიტაციას 86 მილიონი მოახმარეს — ქარხნის ასამუშავებლად მათ საამქროების აღორძინება და ქეის მიერ „აკიდებული“ ვალების დაფარვა მოუხდათ.

როგორც ქეის კომპანიონი ნათია ჯაყელი აცხადებდა, 2011 წლის 6 ივლისს მიხეილ სააკაშვილსა და ინა გუდავაძეს შორის შეთანხმების გაფორმების შემდეგ, „ქართული ფოლადის“ მენეჯმენტს იძულებით დაატოვებინეს ქარხანა, ხოლო თავად საწარმოს აქტივები ხელოვნური გაკოტრებისა და უკანონო გარიგებებით გადაეცა სახელდახელოდ შექმნილ შპს „რუსთავის ფოლადს“, რომლის მეპატრონე რეალურად ინა გუდავაძეა. ჯაყელის თქმით, ქარხანაში ჯარი შეიყვანეს და ქონება ისე გაიტანეს.

საპარლამენტო არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობის“ დამარცხების შემდეგ, „ქართულმა ფოლადმა“ უფლებების აღსადგენად სასამართლოს მიმართა, რომელმაც ბათილად და არაკანონიერად ცნო შპს „რუსთავის ფოლადისათვის“ მეტალურგიული ქარხნის აქტივების გადაცემა და ქონება „ქართულ ფოლადს“ დაუბრუნა.

თუმცა, ეს იმ ისტორიის გაგრძელებაა, რომელიც პატარკაციშვილის ოჯახსა და ყოფილ ხელისუფლებას შორის გაფორმებულ ხელშკრულებას მოჰყვა.

როგორც ვიცით, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ გამოაქვეყნა ბადრი პატარკაციშვილის ოჯახსა და საქართველოს მთავრობას შორის 2011 წლის 6 ივლისს გაფორმებული მორიგების შეთანხმება. დოკუმენტის მიხედვით, გარდაცვლილი ბიზნესმენის ოჯახმა უარი თქვა ტელეკომპანია „იმედსა“ და ხელისუფლების წინააღმდეგ საარბიტრაჟო სასამართლოში შეტანილ სარჩელზე, რის სანაცვლოდაც მთავრობამ პატარკაციშვილის ოჯახის კუთვნილ კომპანიებს ჩამოაწერა საგადასახადო დავალიანება.

მთელ ამ ისტორიას თუ გადავხედავთ, აშკარაა, რომ პატარკაციშვილის ოჯახს პოლიტიკური ინტერესები არ უნდა ამოძრავებდეს, თუმცა, ყოფილ და ახალ ხელისუფლებას შორის, სავარაუდოდ, ვალდებულებათა წნეხში ჰყვება. თუმცა, ვის მიმართ რა ვალდებულება აქვს პატარკაციშვილის ოჯახს, იმედია მომავალში გამოჩნდება. მანამდე კი, კულუარებში კვლავ საუბრობენ ტელეკომპანიაში ნაციონალების შემორჩენილ გავლენაზე, რასაც ვერ დავადასტურებთ.

და მაინც, ვის ინტერესში შეიძლებოდა ყოფილიყო ეგზიტპოლის შედეგები მაღალი ცდომილებით, საინტერესოა. ერთი მხრივ, შეიძლება იკითხებოდეს ხელისუფლების მხრიდან არჩევნების გაყალბების სურვილი, ხოლო მეორე მხრივ, ნაციონალების მხრიდან — ხელისუფლების გაბითურების.

სოსო ცისკარიშვილი თვლის, რომ თუ არხის ბადეს გადავხედავთ, ხელისუფლების გავლენა აქ არ იკითხება.

მარიამ თოდაძე

დედამიწის ზურგზე

უკრაინის ხელისუფლებამ განაცხადა ძვეძანაში მოთარეშეთა ჯგუფის შემოჭრის შესახებ რუსეთიდან, ლუგანსკელმა სეპარატისტებმა კი — ჯაშუშობასთან და დივერსანტებთან ბრძოლის ძვედანაყოფის შექმნის შესახებ

ჯაშუშებთან და დივერსანტებთან ბრძოლისთვის ქვედანაყოფის შექმნა არის „ადეკვატური პასუხი“ უკრაინის ხელისუფლების მოქმედებაზე დონბასში, განაცხადეს სეპარატისტებმა. იტყობინებიან დაპირისპირების ახალი მსხვერპლის შესახებ. დონეცკში დამოუკიდებლობის მომხრეებმა ხელში ჩაიგდეს მილიციისა და პროკურატურის რაიონული განყოფილებები.

* * *

უკრაინის სპეცნაზის ოფიცერმა ბრალი დასდო ძვეყნის არმიის ხელმძღვანელობას ღალატში: „გვყიდიან კაპიკებად!“

ვიდეოჩანაწერი ბრალდებებით უკრაინის შეიარაღებული ძალების უმაღლესი ხელისუფლების მისამართით გამოაქვეყნა უკრაინის ტელეარხმა. სპეცნაზის ვიცე-პოლკოვნიკმა ანონიმურობის პირობით აცნობა არხს, რომ ძალოვანები ხშირად ხვდებიან ალყაში, რომელსაც აწყობენ სეპარატისტები, და ვინც, მისი აზრით, ღებულობენ ინფორმაციას მომავალი ოპერაციების შესახებ.

* * *

პოროშენკომ პუტინთან განიხილა ცეცხლის შეწყვეტა და მერკელს სთხოვა, დაეხმაროს გუფერული ზონის შექმნაში

უკრაინის პრეზიდენტმა დახმარება სთხოვა ევროკავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს რუსეთთან საზღვრის განმტკიცებისთვის, იგი დათანხმდა ხელისუფლების დეცენტრალიზაციის აუცილებლობისა და პარლამენტის ვადამდელი არჩევნების შესახებ. მან აგრეთვე დაადასტურა მზადყოფნა, ხელი მოაწეროს 27 ივნისს ევროკავშირთან ასოციაციის შეთახმების ეკონომიკურ ნაწილს.

* * *

მალაიზიის სანაპიროებთან ავარია მოუვიდა ხომალდს, რომელზეც მიგრანტები იყვნენ. სამოცზე მეტი კაცი დაიღუპა

ხომალდის ბორტზე, რომელიც შეუსაბამო იყო საზღვაო ცურვისათვის, 97 კაცი იმყოფებოდა, მათ შორის ქალები და ბავშვები. მათგან მხოლოდ 31 კაცის გადარჩენა შეძლეს. ყველა მათგანი ინდონეზიის მოქალაქეა. ავარია მოხდა დაახლოებით 3 კილომეტრში მალკის სრუტეში ქალაქ ბანტინგის მახლობლად.

ბედნიერება

ცაში აფრენილი სიამაყე

იდგა ათას ცხრაას ოთხმოცდათერთმეტი წელი. ჩემმა, მოგზაურობის მოყვარულმა სულმა და ჟურნალისტის დაუოკებელმა გზა-ბილიკებმა ბრაზილიაში გადამაგდო. მანამდე კი, თბილისში მსტუმრობდა ერთი ბრაზილიელი ბიზნესმენი, აწ უკვე, ჩემი ძმაკაცი და მეგობარი ჟილბერტო კორეირა-ფერეირა რამუსი. თბილისში შეხვედრები გვქონდა დამოუკიდებელი საქართველოს პირველ პრეზიდენტთან, ბატონ ზვიად გამსახურდიასთან და თბილ და საქმიან საუბრებში წარმოიშვა აზრი – ბრაზილიური ბიზნესის საქართველოში, ხოლო, ქართული ბიზნესის ბრაზილიაში „ჩანერგვის“ შესახებ.

რამდენჯერმე შევხვდით ბატონ ზვიადს და, როცა ჟილბერტოს თბილისიდან ვაცილებთ, ამ ახალგაზრდა კაცს გულმა ვერ მოუთმინა და მითხრა! ბედნიერია საქართველო, ასეთი პრეზიდენტი რომ ჰყავსო!..

ჰოდა, ამ შეხვედრებს ის მოჰყვა, რომ ქართული დოვლათით, ქართული ბარაქით სავსე კონტეინერები ჩავიტანეთ რიოში.

უზარმაზარ საგამოფენო დარბაზში, თითქმის, ერთი თვე იყო გამოფენილი ქართული პროდუქცია. და მარტო „გამოფენილი“?! ამ გამოფენაზე წარმოდგენილი მსოფლიოს 75 ქვეყნიდან შვიდმა, კონტრაქტიც კი დაგვიდო ქართული ჩაის მოწოდებაზე. მაგრამ ყველაზე გასაოცარი ის იყო, რომ ამ ქვეყნებს შორის იყვნენ... ინდოელი და ცეილონელი ბიზნესმენები... გავოცდი!

– კი, მაგრამ თქვენ... ჩაი „გიჭირთ“, მეგობრებო?

ინდოელებმა, როგორც იტყვიან, ულვაშებში ჩაიცინეს და პირდაპირ მითხრეს:

– თქვენ არ იცით, რომ საქართველოს ჩაის განსაკუთრებული თვისებები აქვს?... თუ, კონტრაქტი განხორციელდა, ჩვენ ავაშენებთ თქვენს ქვეყანაში ჩაის დამამზადებელ ფაბრიკა-ქარხნებს, გავაშენებთ ჩაის ახალ პლანტაციებს... განსაკუთრებით თქვენი მთიანი ზონის ჩაია საინტერესო ჩვენთვის!..

ორიოდე დღეში ბრაზილიის პრეზიდენტ ფერნანდუ კოლორ დე მელუსთან გვქონდა შეხვედრა და ქალაქ ბრაზილიაში გადავფრინდით. მასთან ბევრ სხვა საკითხებთან ერთად ჩაის თემაზეც გვქონდა საუბარი.

– ო,ო!...თქვენ გაგიმართლათ, მისტერ, გაგიმართლათ!.. – თქვა და ოდნავი დაფიქრების შემდეგ ჟილბერტოს მიმართა:

– ხომ არ გიფიქრიათ ბრაზილიაში ქართული ჩაის ბიზნესის საკითხებზე?

ქართული დელეგაციის წევრებმა ერთმანეთს გადავხედეთ სიამოვნებით.

– მერე იყო მცირე სუფრა საპრეზიდენტო რესტორანში და ახალი გამარჯვებების მოლოდინი.

– მე ვიცნობ ქართველებს!.. – გააგრძელა სუფრასთან ბატონმა მელომ, – ...სხვა ყველაფერი განზე რომ იყოს, თქვენი ცეკვები დაიპყრობს მსოფლიოს ხალხთა გულებს!... იცით, მე ოჯახში მაქვს თქვენი ანსამბლის... „სუხიშვილების“ საკონცერტო აფიშა, სადაც ერთი თქვენი მოცეკვავე ცათამბჯენზეა აფრენილი!... ო, ეს საოცრებაა!... მე ეს აფიშა მამაჩემმა დამიტოვა სამახსოვროდ!... თქვენ ხომ ქართველი ხართ?... შეგიძლიათ ცათამბჯენზე ასე აფრენა?...– ჩაიღიმილა მელომ.

– დიახ!... აი, როცა ჩვენი ოცნება განხორციელდება, მაშინ მეც ავხტები ცათამბჯენზე და თქვენ ტაშს დამიკრავთ!... ღიმილმა და გულითადობამ გააცისკროვნა ბრაზილიის ცა.

...მაგრამ ვერ „ვიფრინე“ ცათამბჯენის თავზე!... საქართველოში უღვთოდ ტვინნაღრძობთა და ყაჩაღთა მხრიდან წამოწყებულმა სამოქალაქო ომმა დაგვზაფრა.

ჩაიშალა ბრაზილიური ოცნება!

...რამ გამახსენა ყოველივე ეს დღეს?!

რამ და, იმ ცაში აფრენილმა სიამაყემ, რომელსაც კიდევ ერთხელ შევავლე თვალი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგამოფენო დარბაზში ამა წლის აპრილის დასაწყისში. გამოფენაზე, რომელსაც ერქვა „თენგიზ უთმელიძე. პერსონალური გამოფენა „სუხიშვილები“ და, რომელსაც შარავანდედად ეფინა ქართული სული და რომანტიკა!

იმ ცათამბჯენზე აფრენილი არწივი, სწორედ თენგიზ უთმელიძე იყო, კაცი, რომელმაც ბალღობიდან გაუგო გემო ქართულ ეროვნულ ხელოვნებას და მას წარმატებით ემსახურება დღემდე.

მართალია, ჩვენმა სახელოვანმა გენიოსებმა, ქართული ქორეოგრაფიის კლასიკოსებმა, ბატონმა ილიკო სუხიშვილმა და ქალბატონმა ნინო რამიშვილმა უკვდავი პოემა დაუწერეს ქართულ ცეკვას, მაგრამ, თამამად შემიძლია ვთქვა, ამ დიდებულ პოემას ძეგლი დაუდგა და მის ბიოგრაფიულ ფოლიანტებს უკვდავებისკენ გაუკაფა გზა თენგიზ უთმელიძემ! მისმა იმწამიერად გადაღებულმა ფოტოებმა მარადისობა შეაყოვნეს და ისტორიას შემოუნახეს ქართული გენის მშვენება.

ჯერ კიდევ 1957 წლიდან მოღვაწეობდა თენგიზი „სუხიშვილებში“. მანამდე იყო სხვა ანსამბლები და კოლექტივები, მაგრამ სწორედ „სუხიშვილებში“ დაიწყო მისი 20 წლიანი კარიერა.

„ხევსურული სუიტის“, „ხორუმის“, „ჯეირანის“, „წყაროსთან“, „დავლურის“, „ბანგას“, „ლელოს“ და... „ქაჯეთის ციხის“ ამღები ტარიელის კეთილშობილებამ და, ქალბატონ ნინოსთან ერთად შესრულებულმა „ქართულმა“ უდიდესი წარმატება მოუტანა თენგიზ უთმელიძეს.

ჩვენ ერთად დავამთავრეთ ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი 1966 წელს და მთელ ჯგუფს საშუალება გვქონდა სხვათა ადრე გვეხილა მის მიერ მსოფლიოს სხვა და სხვა ქვეყნებში გადაღებული „სუხიშვილური“ ფოტოები, სხვათა ადრე წაგვეკითხა მის მიერ დაწერილი საგაზეთო სტატიები, ნარკვევები, რეპორტაჟები, ნოველები.

ასე და ამგვარად იქმნებოდა „სუხიშვილების“ შემოქმედებითი მოღვაწეობის უნიკალური ფოტო და კინო მატიანე. პარალელურად თენგიზი მოღვაწეობდა კულტურის სხვა და სხვა სფეროში, მაგრამ მუდამ წინა პლანზე მიჰქონდა დროშა, რომელსაც ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების მატიანის ფურცლები ჰქვია. და დღესაც, ბატონ მერაბ ბერძენიშვილის სახელობის კულტურისა და მეცნიერების ცენტრის („მუზას“) გენერალური დირექტორი კვლავ დგას ქართული ქორეოგრაფიის, ქართული სულიერების ისტორიკოსთა სახელოვან რიგებში.

დღეს, როდესაც კიდევ ერთხელ ვათვალიერებ უნივერსიტეტის საგამოფენო დარბაზში გამოფენილი ისტორიის მრავალფეროვან ხალიჩას, როცა ვუყურებ „ხორუმს“ და „ქართულს“, გულწრფელად ვფიქრობ: – ნუთუ შეეძლო ჩემი ხელობის კაცს – ჟურნალისტსა და შემოქმედს თაყვანი არ ეცა იმ საოცრებისათვის, რომელზეც მსოფლიოს ცნობილი ქართველი და უცხოელი პიროვნებები და პრესამედია აღფრთოვანებით წერდნენ:

* * *

„...ეს ცეკვა „ქართულია“, მას ვერავინ იცეკვებს. რასსა არ ეყოფათ!“

გრიგოლ როგაქიძე.

„... ეს ცეკვა სატრფიალო პოემაა, შეჯიბრი სილამაზეში, მოქნილობაში, მოსაზრება-მიხვედრილობაში!“

დავით ჯავრიშვილი.

* * *

„მკლავებში გამომწყვდეული,
ოცნება უსაზღვროება,
ქალ-ვაჟთა ტრფობის უკვდავი
და უნაზესი პოემა!“

იოსებ ნონეშვილი.

* * *

„... ყველა ჯიშსა და მოდგმას ახასიათებს მიდრეკილება ცეკვისადმი, მაგრამ ისეთ სიმაღლეზე, როგორც ქართველებმა აიტანეს ქორეოგრაფიული ხელოვნება, ჯერ არავის შესძლებია!“

ლევან სანიკიძე.

* * *

„...არის ცეკვა, რომლის ახლებურად გააზრება კი არა, ხელის ხლება არ შეიძლება. „ქართულში“ ისევეა გაბრწყინებული ჩვენი ხალხის გენია, როგორც შეუდარებელ „ვეფხსა და მოყმეში“ – ვერც დაუმატებ რამეს, ვერც მოაკლებ!“

ნინო რამიშვილი.

* * *

„ქართულო ცეკვავ ლერწამ ტანისა,
შენ დამიფარე ავი თვალისგან!
ქართულო ცეკვავ,– სულო ელვისა,
შენ დამიფარე ავი ენისგან!“

ალექსანდრე მეჟიროვი.

* * *

„ქართული რომ იცეკვო, საქართველოს ჰაერით უნდა ისუნთქო, ბავშვობიდან ისმინო მისი ჰანგი და სვა კახური ღვინო!

აი, მაშინ იქნება ნამდვილი „ქართული“, – გასაოცარი და განუმეორებელი!“.

ელი ჩეროვა (ელისაბედ ჩერქეზიშვილი).

* * *

„... ცეკვა „ქართული“ ხალხური ქორეოგრაფიის შედევრია. იგი ქართველი ერის ისტორიის ხილული მეხსიერებაა!

მერაბ ბერძენიშვილი.

* * *

„...რაოდენ მშვენიერი, სხივნათელი უნდა იყოს იმ ხალხის სული, რომელმაც შეძლო შეექმნა ასეთი აღმაფრთოვანებელი ცეკვები. თუმცა ეს ცეკვები როდია, ეს ქართველი ხალხის თავისებურების ხატია!“.

პრაღის პრესა, (ჩეხოსლოვაკია), 1958 წ.

* * *

„... როცა ამ ცეკვებს ასრულებენ, მაყურებლები აღფრთოვანებულნი არიან მოძრაობათა პლასტიკით, დახვეწილი და მეტყველი ცეკვით, მომხიბლავი სიმსუბუქითა და სიფაქიზით!“

იური გრიგოროვიჩი.

* * *

„...ბედნიერია ის ერი, რომელმაც ასეთი ცეკვა შექმნა თავისდა საამაყოდ!“

მაქსიმ გორკი.

* * *

„...ეროვნული ტანსაცმლით ცეკვავს ქართველი მზეთუნახავი!... ეს სინაზე, პატარა ფეხების ოდნავ შესამჩნევი მოძრაობა, მორცხვი გამოხედვა, ვაჟის მოკრძალებული თვალ-წარბში ცქერა და ქალის ამაყად თვალის არიდება. – აი, რა შეადგენს ქართული ეროვნული ცეკვის მთელ სიძლიერესა და მშვენიერებას!...“

ნ. როდე, 1983 წ.

* * *

„...„ქართული“ ეს არის აკადემიური ცეკვა, რომელშიც ამდენი სინარნარე, სინატიფე, რაინდობა და კლდემამოსილებაა. ამ ცეკვაში შერწყმულია ის რთული ილეთები, რომლებიც ქორეოგრაფიის გვირგვინს წარმოადგენს!“

ვენა, ავსტრიის პრესა, 1963 წ.

* * *

...და ბედნიერია კაცი, რომელიც ასეთ ხელოვნებას ემსაახურება!!

... პრესაში მოვლენის გაშუქებას ოპერატიულობა უხდება! მეც მიზნად მქონდა იმავე დღეს თუ არა, ორ-სამ დღეში დამეწერა მცირეოდენი გამოხმაურება ამ გამოფენის შესახებ, მაგრამ ეს ვერ მოვახერხე! ბედმა ბედნიერება მარგუნა და წმინდა მიწისკენ მიხმო. ამიტომ ჩანაფიქრის გადადება მომიწია. იერუსალიმის ჯვრის მონასტერში რუსთაველს მოვუყევი სათქმელი, ღვთისმშობელს შევავედრე ყოველი, რომლებმაც ძეგლი დაუდგეს ცაში აფრენილ ჩვენს სიამაყეს! ჩემი მეგობრის, ჩვენი თენგიზ უთმელიძის სალაღობოდ ლოცვები აღვავლინე გოდეგის კედელთან! თუმცა...

ამ პალესტინურ მოგზაურობაზე მომდევნო ჩანახატებში მოგიყვებით, რამეთუ, პალესტინელ ქართველ მამათა და დედათა დადებული მადლი დღესაც ლოცავს ქართულ გენსა და მთელ საქართველოს!

ზაურ ფიფია

◎ მუნდიალი – 2014

სელექცია მაინც სხვაა

მას შემდეგ, რაც ლუიშ ფელიპე სკოლარიმ სამუნდიალო გაანაცხადს მილმა კაკა, რონალდინიო და რობინიო დატოვა, ბრაზილიელთა თავკაცის ოპონენტები დასაბმელები გახდნენ – აქაოდა, ვინ უნდა გამოჭედოს პენტა კამპეონთა მეექვსე ტიტულიო.

ვნებები ნაწილობრივ სასტარტო ბრძოლის მოგებამ დააცხრო, რაც მნიშვნელოვანწილად იაპონელი მსაჯის ნიშიმურას მიერ ხორვატთა კარში დანიშნულმა გამოგონილმა პენალტმა განაპირობა. თითქოს მასპინძელთა მწვრთნელის მიმართ იქაური ფეხბურთის კონფედერაციის მესვეურთა მიერ მინიჭებულ ნდობის ვოტუმს საფრთხე აღარ ემუქრებოდა, მაგრამ...

„ა“ ჯგუფი
ბრაზილია – მექსიკა 0:0.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია – ტალანტების სამჭედლოში ნეიმარის ღირსეული მეწყვილე ვერ მოიძებნა, რაც, დაგვეთანხმებით, შესაძლო კრახის შემთხვევაში სწორედ გუნდის დამრიგებელს დაბრალდება, რადგან ძნელი დასაჯერებელია, რომ პელეს სამშობლო მოიერიშე ვარსკვლავთა დეფიციტს განიცდიდეს.

აღსანიშნავია, რომ პარტნიორთა სათანადო მხარდაჭერის გარეშე დარჩენილ „ბარსელონის“ ვუნდერკინდს ცდა არც ამჯერად დაუკლია, მაგრამ მექსიკელთა დაცვა უბერებელი მარკესის წინამძღოლობით გაუვალი აღმოჩნდა, ხოლო რამდენიმე კრიტიკულ ეპიზოდში მეკარე ოჩოამ იყოჩაღა.

სელექცია რომ თანამედროვე სპორტში ერთ-ერთი საკვანძო საკითხია, **„თ“ ჯგუფის** სასტარტო მატჩებმაც დაადასტურა, სადაც წამყვანი როლები მინდორზე შემცვლელებად შესულებმა შეასრულეს.

კერძოდ, ბელგიელებმა ალჟირთან ტაიმბოლი ფელაინისა და მერტენსის ძალისხმევით დასვეს – 2:1, რუსები კი კორეასთან სამარცხვინო მარცხისგან ასევე რეზერვისტმა კერჟაკოვმა იხსნა – 1:1. ასე რომ, ჩრდილოელთა იტალიელ მესაჭეს ფაბიო კაპელოს შეგირდებმა დაბადების დღე კინაღამ ჩააშხამეს, რაშიც ლომის წილი მეკარე აკინფეევმა დაიდო – მან ხომ მეტოქეს კურიოზული გოლი აჩუქა.

გიორგი ზოთაძე

◎ ჭადრაკი

მთავარი პრიზის 12 მაძიებელი

გუშინ ლოპოტას ტბის (თელავი) დასასვენებელ კომპლექსში საზეიმოდ გაიხსნა მსოფლიოს მოჭადრაკე ქალთა გრან პრის 2013-2014 წლების გათამაშების მე-ნ ეტაპი, რომელშიც მთავარი პრიზისთვის სხვადასხვა ქვეყნის 12 წარმომადგენელი იბრძოლებს. ესენი არიან: მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი ჰოუ იფანი (ჩინეთი, რეიტინგი-2629), ჰამპი კონერუ (ინდოეთი, 2613), ელვისებურ ჭადრაკში მსოფლიოს ჩემპიონი ანა მუზიჩუკი (უკრაინა, 2561), მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადების ტრიუმფატორები – ნანა ძაგნიძე (საქართველო, 2541), ჟაო სიუ (ჩინეთი, 2538), ცზიუ ვენძიუნი (ჩინეთი, 2532), მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი, 2532), გრან პრის პირველი ეტაპის გამარჯვებული ბელა ხოტენაშვილი (საქართველო, 2518), ჰარიკა დრონავალი (ინდოეთი, 2503), მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი, 2488), სომხეთის გუნდის შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონი ელინა დანიელიანი (2460) და ნაფისა მუმინოვა (უზბეკეთი, 2332).

ტურნირის საპრიზო ფონდია 60.000 ევრო, საიდანაც გამარჯვებული 10.000 ევროს მიიღებს, თან გრან პრის მთავარი პრიზისთვის 160 ქულა დაერიცხება. საერთოდაც, გრან პრის გათამაშებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. იგი ექვსი ეტაპისგან შედგება და თითოეულმა მოჭადრაკემ ოთხ რაუნდში უნდა ითამაშოს, საიდანაც სამი საუკეთესო შედეგი წინა ორში (2009-2010, 2011-2012 წ.წ.) ჰოუ იფანმა გაიმარჯვა. ამჟამად სამი ეტაპის ჯამში 335 ქულით მუზიჩუკი მეწინავეობს. მასთან ერთად ბოლო ორი რაუნდის შედეგების გათვალისწინებით 2013-2014 წლების გათამაშების მოგების შანსი ბელა ხოტენაშვილს, ჰამპი კონერუსა და ჰოუ იფანს შერჩათ.

ლოპოტაში დღეს პირველი ტურის პარტიები გაიმართება.

ლაშა დიდია

◎ ფარიკაობა

მუშკეტერები თავს თბილისში მოიყრიან

24-28 ივნისს თბილისი 23-წლამდელ მოფარიკავეთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს, საქართველოს დედაქალაქში ბებერი კონტინენტის 200-ზე მეტი ახალგაზრდა მუშკეტერი მოიყრის თავს. მედლებისთვის ისინი სასპორტო კომპლექს „არენა-1-სა“ და „არენა-2-ში“ იასპარეზებენ. ჩვენი ქვეყნის ნაკრების მწვრთნელებმა უკვე დაასახელეს გუნდების შემადგენლობა სამივე სახეობაში. საქართველოს სპორტულ ღირსებას დაიცავენ:

ხმალში

გოგონები. თეოდორა კახიანი, მარიამ ფხაკაძე, ქრისტინე ნოზაძე, ელენე ნანობაშვილი; **ვაჟები.** სანდრო ბაზაძე, მიხეილ მარდალეიშვილი, საბა სულამანიძე, ლუკა ობოლაძე.

რაპირაში

გოგონები. თეონა გოგლიძე, ლიკა ჯიჯეიშვილი, ანა მელია, მარიამ ცუხიშვილი; **ვაჟები.** არჩილ უგულავა, ლუკა ღაღანიძე, გიორგი გელაშვილი, სანდრო სიხარულიძე.

დაშნაში

გოგონები. ანა ბიბიჩაძე, ნუცა იაგორაშვილი, ქრისტინე მიქაძე, მარია ზაკირჩენკო; **ვაჟები.** ირაკლი ამბროლაძე, გიორგი ქაფიანიძე, მიქაელ მიქაელიანი, ლევან ფცქიალაძე და ნიკა ზურაბიშვილი.

გივი გაგუა

სურათზე: საქართველოს მოხალავე ვაჟთა ნაკრები: მარცხნიდან – მიხეილ მარდალეიშვილი, სანდრო ბაზაძე, ლუკა ობოლაძე და საბა სულამანიძე

ვაჟა დანელიას ფოტო.

◎ ჭიდაობა

ტარზანმა ევროპა დაიპყრო

პოლონურ კატოვიცეში დაიწყო ახალგაზრდა თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატი. შეჯიბრების პირველ დღეს კარგი შედეგი აჩვენეს ჩვენმა ბიჭებმა (მთავარი მწვრთნელი გიორგი გოგშელიძე), რომლებმაც ოთხ წონით კატეგორიაში თითო „ოქრო“ და „ვერცხლი“ დაიმსახურეს.

კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა ტარზან მაისურაძე. 74 კილოში მან თავიდან ბრიტანელი თომას ჰოუტორნი დაჯაბნა (12:0), ბერძენი კოსტას გკოციისი საჭიდაოდ არ გამოუცხადდა, მეოთხედფინალში თურქი მურატ ერთურქიც მშრალი ანგარიშით (13:0) ჩამოიცილა გზიდან, ნახევარფინალში შარშანდელ ევროპის ვიცე-ჩემპიონსა და მსოფლიოს პირველობის მესამეადგილოსან ჰაჯიმურატ ომაროვს (აზერბაიჯანი) აჯობა 10:0, გადამწყვეტ პაექრობაში უკრაინელ ოლექსი შჩერბაკს 2:1 სძლია და ჩემპიონობა მოიპოვა. საგულისხმოა, რომ ორი წლის წინათ ტარზანმა სწორედ კატოვიცეში დაიმსახურა ჭაბუკთა შორის ევროპის პირველობის ბრინჯაოს მედალი.

60 კილოში თავი გამოიჩინა ნაკრების დებიუტანტმა გიორგი ბრეგაძემ. პირველ წრეში იგი ისვენებდა, შემდეგ დაძაბულ პაექრობებში დაჯაბნა ბერძენი პატიოს პაპადაკისი (4:0), გერმანელი დავიდ ვოლნი (12:4) და უკრაინელი ივან ბილეიჩუკი (11:7), თუმცა ფინალში რუსეთელ იმამ აჯიევთან ვერაფერს გახდა (0:10) და ვერცხლის მედალს დაყაბულდა.

საქართველოს ნაკრებიდან 50 და 96 კილოგრამ წონით კატეგორიებში ალექსანდრე კილაძე და სახელოვანი ფალავნის - ლუკა კურტანიძის ვაჟი ნოდარ კურტანიძე ცდიდნენ ძალებს, მაგრამ ადრეულ ეტაპზევე გამოეთიშნენ შეჯიბრებას. 96 კილოში ევროპის ჩემპიონი გახდა შარშანდელი ევროპირველობის ვერცხლის პრიზიორი მურაზ მჭედლიძე, რომელმაც უკრაინის სახელით იჭიდავა. მამამისი გურამ მჭედლიძე საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელია. კატოვიცეში კიდევ ოთხ წონაში გამოვლინდებიან მედალოსნები, ხოლო 21-22 ივნისს პოლონურ ხალიჩაზე „კლასიკოსები“ გამოვლენ.

ლექსო ციცაძე

◎ კალათბურთი

„გალათასარაი“ გადამწყვეტ მატჩში თამაშზე უარს აცხადებს

სტამბოლის „გალათასარაი“, რომლის ღირსებასაც ქართველი კალათბურთელი მანუჩარ მარკოიშვილი იცავს, თურქეთის ჩემპიონატის ფინალური სერიის გადამწყვეტ – მე-7 მატჩში მოედანზე გასვლას არ აპირებს.

შეგახსენებთ, რომ ფინალში ანგარიში 3:3-ია და დღეს დასკვნით თამაშს სტამბოლისვე „ფენერბაჰჩეს“ არენამ უნდა უმასპინძლოს, თუმცა, ისეთი პირი უჩანს, ეს ჯახი აღარც ჩატარდება.

„გალათასარაის“ უკმაყოფილება თურქეთის კალათბურთის ფედერაციის და მსაჯების არათანმიმდევრულ ქმედებებს უკავშირდება.

გუნდის მთავარი მწვრთნელის ერგინ ატამანის აზრით, „გალას“ გამარჯვება წაართვეს სერიის მე-2 მატჩში, როდესაც ბოლო წამებზე მარკოიშვილზე აშკარა ფოლი არ დააფიქსირეს და „ფენერმა“ გადამწყვეტი ბურთი ჩააგდო.

გარდა ამისა, მე-4 თამაშში „გალათასარაის“ ფანები უწესრიგობისთვის დასაჯეს და გუნდმა მომდევნო საშინაო შეხვედრა მხოლოდ ქალების და ბავშვების თანდასწრებით ჩაატარა, „ფენერბაჰჩეს“ გულშემატკივრები კი ანალოგიური ქმედებისთვის არავის დაუსჯია.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

გვარდიოლამ 20 წლის წინათ მოყვანილ ცოლზე იქორწინა

ახალგაზრდა ესპანელი მწვრთნელი ხოსეპ გვარდიოლა აგერ უკვე ოცი წელიწადია, რაც ერთ ქალთან ჭეშმარიტ ცოლ-ქმრულ ურთიერთობაში იმყოფება და მასთან უკვე სამი შვილიც ყავს. თუმცა, აქამდე გვარდიოლას თავის გულისსწორთან ოფიციალურად ხელიც კი არ ჰქონდა მოწერილი.

ცოტა ხნის წინათ მიუნჰენური კლუბის დამრიგებელი თავის ცოლზე კრისტინა სარაზე ოფიციალურად დაქორწინდა და ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ ეს გადაწყვეტილება შვილების გამო მიიღო, რადგან ცოლთან მისი ხელმოუწერლობა ბევრ იურიდიულ კაზუსს წარმოშობდა.

ხელმოუწერლად საყვარელ ქალთან ათწლეულების მანძილზე ცხოვრების წესი უკანასკნელ პერიოდში მთელს ევროპაში ფართოდაა გავრცელებული და ჩვენ ადრეც ვწერდით, რომ ამის მიზეზი ევროკავშირის კანონებია, რომლის მიხედვითაც ცოლ-ქმრის დაშორების შემთხვევაში ქონება თანაბრად ნაწილდება. როგორც ჩანს, გვარდიოლამ უკვე ირწმუნა საკუთარი მეუღლის სიყვარულის და მის ქონებასაც ნაკლები საფრთხე ემუქრება.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ახლახან გამოვიდა

გული პალიტრაზე

ეს კაცი კვლავ მრავალ დიდ საქმეს გვპირდება,
ეს კაცი მამულს და მსოფლიოს სჭირდება.

„გული პალიტრაზე“ დაურქმევია თავისი წიგნისთვის ცნობილ მწერალსა და ჟურნალისტს ლევ კოლოდნის, რომელიც ეძღვნება დიდი ქართველი მხატვრის ზურაბ წერეთლის ცხოვრებასა და შემოქმედებას. წიგნი უკვე გამოიცა ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, ესპანურ, იტალიურ ენებზე და, აი, იგი ქართულადაც გამოვიდა საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის — „საზოგადოება ცოდნისა“ და საქართველოს გურამ რჩეულიშვილის საზოგადოების ძალისხმევით.

წიგნის მთარგმნელები არიან მაია ნიკოლაძე და ნოდარ ზედელაშვილი, ხოლო რედაქტორ-გამომცემელი და წინასიტყვაობის ავტორი — ნუგზარ წერეთელი. სხვათა შორის, წიგნში მიმობნეული ალექსანდრე ბლოკის, სერგეი ესენინის, ბორის პასტერნაკის, ანა ახმატოვას, მარინა ცვეტაევას, ანდრეი ვოზნესენსკის, ანდრეი დემენტიევის და სხვათა პოეზიის ნიმუშები ნუგზარ წერეთლის თარგმნილია.

ლევ კოლოდნის უხვად ილუსტრირებული სქელტანიანი წიგნი — კიდევ უფრო შევსებული და გადამუშავებული — რუსულად უკვე მესამედ გამოდის. საქმე ის არის, რომ ზურაბ წერეთლის შესახებ აქამდე რაც კი გამოსულა, რაც კი დაბეჭდილა წიგნად თუ ჟურნალ-გაზეთებში, ეს მაინც ვერ აკმაყოფილებდა მკითხველის ცნობისმოყვარეობას. კოლოდნიმ კი დიდი ქართველი ხელოვანის ნიჭის თაყვანისმცემლებს მისი წარმომავლობა, მისი ბავშვობა და სიყმაწვილე, მისი პირველი ნაბიჯები და თანდათან დიდ ხელოვნებასთან მისი წილნაყრობა გააცნო და ამან, იცოცხლეთ, დააინტერესა მკითხველი.

„გული პალიტრაზე“ ერთ-ერთი საფუძვლიანი მცდელობაა, მონოგრაფიული თვალსაზრისით მოუთხროს მკითხველს გამარჯვების ობელისკის, პეტრე დიდის მონუმენტური ქანდაკების და სხვა ფართოდ გახმაურებული ძეგლების ავტორზე, რომელთა გარეშეც დღეს მოსკოვი და მსოფლიოს მთელი რიგი ქვეყნები წარმოუდგენელია, წიგნი უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზეა გამოცემული. მისი უპირველესი ღირსება ზურაბ წერეთლის ცხოვრებისა და ნაყოფიერი შემოქმედების მხატვრული აღწერის გულმოდგინე ცდაა. ავტორი გვესაუბრება მომავალი დიდი მხატვარ-მონუმენტალისტის პირველ ნაბიჯებზე ხელოვნებაში, მის ნოვატორულ ძიებებზე, მშობლიურ საქართველოში — თბილისში, ბათუმში, სოხუმში, ჭიათურაში და სხვა ქალაქებში მინანქრით, ჭედურობით, ფერადი ქვებით — სმალტით, მოზაიკით ამეტყველებულ მხატვრობაზე, მოგვიანებით, ბიჭვინთის ახლადაშენებული კომპლექსის მხატვრულ გაფორმებაზე... თანდათან მოსკოვის „დაპყრობაზე“, უზარმაზარი ქალაქის „წერეთლიზაციაზე“... მერე ამერიკაში დიდი პოპულარობის მოპოვებაზე, ბავშვებისადმი მიძღვნილი ძეგლის — „ბედნიერება მსოფლიოს ბავშვებს“ დადგმაზე, მოგვიანებით კი, აქვე, ეპოქალური მონუმენტური ძეგლის — „პრომეთე ჩირაღდნით“ — აღმართვაზე...

საინტერესო ფაქტებს ამზეურებს ლევ კოლოდნი ამ ნამუშევრებთან დაკავშირებით. ამერიკის მთავრობამ ზურაბ წერეთელს ჰონორარის სახით ორი მილიონ ორასი-ათასი დოლარი გამოუყო. ზურაბმა ინვალიდი ბავშვების სასარგებლოდ უარი განაცხადა საავტორო ჰონორარზე და, რაც მთავარია, უზარმაზარი თანხა დაუკარგა უცხოური ვალუტის მტაცებლურად მიმთვისებელ საბჭოთა კავშირს. წიგნში უამრავი ფაქტია მოხმობილი, მისი მაღალი ბუნების, სიკეთის ქმნის, მეცენატობის შესახებ. ზურაბ წერეთელს სხვაგვარად არ ძალუძს, თავისი კაცობით, თავისი სახსრებით იგი ნიადაგ გაჭირვებაში მყოფი მოძმის გვერდითაა!

აი, რას იგონებს წინასიტყვაობის ავტორი, ზურაბ წერეთლის მეგობარი და ბიოგრაფი, თვალსაჩინო პოეტი და პროზაიკოსი **ნუგზარ წერეთელი:**

„ერთხელ, როგორც მახსოვს, 1995 წელს, ზურაბთან ვიჯექი „ბოლშაია გრუზინსკაიას“ სახელოსნოში. ტელეფონმა დარეკა. გარდაცვლილიყო სომხური წარმოშობის შესანიშნავი რუსი კომპოზიტორი მიქაელ ტარივერდიევი. ზურაბს უთხრეს, ოჯახს უჭირს, საგრძნობი თანხაა საჭირო და იქნებ დაგვეხმაროთო. მან ტელეფონზე მოსაუბრე პიროვნებას მიუსამძიმრა, ახლა ჯიბეზე არ მაქვს მაგხელა თანხა, ხვალვე გამოგიგზავნითო და გაუგზავნა კიდეც... ზურაბი არ იტყოდა და ლევ კოლოდნიც ვერ გაიგებდა, რომ მან დააფინანსა ცხოვრების დასაწყისში საკუთარი მასწავლებლის, გამოჩენილი ქართველი ეთნოგრაფის, აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას ხუთტომეული, დიდი ქართველი მწერლის, ახალგაზრდობაში მისი ახლო მეგობრის გურამ რჩეულიშვილის ნაწარმოებთა ექვსტომეული, აფხაზეთის თემისადმი მიძღვნილი სამეცნიერო-პოლიტიკური წიგნების მთელი სერია და ასობით სხვა გამოცემა.

* * *

...ამ წიგნის თარგმანითა და გამოცემით კარგი, მისასალმებელი საქმე გაკეთდა, რადგან, ჩვენი აზრით, ლევ კოლოდნის წიგნი, შეიძლება ითქვას, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მთელი მსოფლიოსა და, კერძოდ, ქართველი ხალხის წინაშე ზურაბ წერეთლის დამსახურებას.

...მაქვს მიზეზი და, აქვე, მეც უნდა ვთქვა ერთი-ორი სიტყვა ბატონი ზურაბის დიდი შემოქმედებისა და კაცობის შესახებ.

ოცდაათი წელიწადია, ბედნიერება მაქვს, ვიცნობდე, ვხვდებოდე მას. რამდენჯერმე, მიზეზთა და მიზეზთა გამო, წერილიც მივუძღვენი მის შემოქმედებას. ერთხელ კი, იოსებ ნონეშვილის ცნობილი ლექსის მოტივზე ლექსად შევბედე დიდ ხელოვანს:

თუმც საქმიანობით მსოფლიო კაცია,
ქართულად ცხოვრობს და ქართულად აცვია.
სიკეთის კეთება ამ კაცის ნიჭია,
თბილისში გაზრდილი „მაგარი ბიჭია“.
სადაც კი მიდის და სადაც კი წავიდა,
ქართულ ქუდს არასდროს იშორებს თავიდან.
სადაც კი მივიდა, სადაც კი შეჩერდა,
სულ „საწერეთლოსთან“ მსგავსებას ეძებდა.
ეს კაცი კვლავ მრავალ დიდ საქმეს გვპირდება,
ეს კაცი მამულს და მსოფლიოს სჭირდება.

ვილენ მარდალეიშვილი

◎ ალიანჩალიანი

სენაკის რაიონში გამრიცხველიანება დასრულდა

სოფელ უშაფათის ინდივიდუალური გამრიცხველიანება დასრულდა. „ენერგო-პრო ჯორჯიამ“ ევროპული ტიპის ინდივიდუალური მრიცხველები 289 აბონენტს დაუმონტაჟა.

აღნიშნული პროექტის განხორციელების მიზნით სს „ენერგო-პრო ჯორჯიამ“ 72 250 ლარის ინვესტიცია განახორციელა.

„სოფელი უშაფათი იყო ბოლო სოფელი სენაკის რაიონში არსებული 14 სოფლიდან, რომლითაც მთლიანად დასრულდა ინდივიდუალური გამრიცხველიანება სენაკის რაიონში. აბონენტების ინდივიდუალური გამრიცხველიანება ჩვენი კომპანიის ერთ-ერთი პრიორიტეტთაგანია. მართალია, სენაკის რაიონში ინდივიდუალური გამრიცხველიანება დასრულდა, მაგრამ ჩვენ ვაგრძელებთ სამუშაოებს სხვა რეგიონებში და 2015 წლისთვის ინდივიდუალური გამრიცხველიანება დასრულდება ჩვენი მომსახურების არეალის მასშტაბით“, — განაცხადა „ენერგო-პრო ჯორჯიას“ საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებს უფროსმა ავთო დვალიშვილმა.

გამრიცხველიანების სამუშაოების პარალელურად მიმდინარეობდა 0,4 კილოვოლტის ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რის შედეგადაც შეიცვალა 180 ცალი ამორტიზებული ხის ბოძები ახალი რკინა-ბეტონის ბოძებით, გაიჭიმა 45 კმ სიგრძის კაბელი და აგრეთვე რემონტდება სატრანსფორმატორო პუნქტები.

ჯოზეფ ქეის, სავარაუდოდ, 7 ივლისს დაკითხავენ

საძალაძე სასამართლოში უგულავასა და კეზერაშვილის წინააღმდეგ რიყის ტერიტორიისა და „ტელეიმედის“ გასხვისების საქმის განხილვა მოწმეების გამოუცხადებლობის მოტივით სწორედ 7 ივლისისთვის გადაიდო.

როგორც სასამართლო პროცესზე ბრალდების მხარის წარმომადგენელმა პროკურორებმა განმარტეს, საქმის მთავარმა მოწმეებმა საქართველოში ჩამოსვლა ვერ მოახერხეს.

მოსამართლემ აღნიშნული პოზიციის შემდეგ, მხარეებს განუმარტა, რომ ჯოზეფ ქეი საქმის მთავარი მოწმეა და მისი დაკითხვისთვის სასამართლო კარგად უნდა მოემზადოს. მოსამართლის გადაწყვეტილებით, პროცესი 7 ივლისს, 13:00 საათზე დაიწყება და სამუშაო დღის ბოლომდე გაგრძელდება.

მოსკოვში ქართველი ე.წ. კანონიერი ქურდი დააკავეს

მოსკოვში ქართველი ე.წ. კანონიერი ქურდი „გიზო“ დააკავეს. ინფორმაციას რუსული მედია ავრცელებს. NTV-ს ცნობით, საქართველოს მოქალაქეს , 36 წლის გიზოს რუსეთის ტერიტორიაზე შესვლა ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბრიდან ჰქონდა აკრძალული.

— „გიზო“ უკანონოდ იმყოფებოდა რუსეთის ტერიტორიაზე. გასული წლის ნოემბერში მოსკოვის რაიონული სასამართლოს მიერ მას რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე შესვლა ხუთი წლით აეკრძალა, — ნათქვამია მოსკოვის შინგან საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

ამასთან, NTV-ის ინფორმაციით, განიხილება დაკავებული ე.წ. კანონიერი ქურდის საქართველოში დეპორტირების საკითხი.

„ვალეში“ ნარკოტიკები გადმოჰქონდათ

შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა საბაჟო გამშვებპუნქტზე „ვალე“, ფსიქოტროპული და ნარკოტიკული ნივთიერებების შემცველი პრეპარატების შემოტანის ფაქტები გამოავლინეს.

შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, 16 ივნისს „ვალეს“ ტერიტორიაზე თურქეთის მხრიდან შემოვიდა თურქეთის მოქალაქე ი. ქ., რომლის ბარგის და ხელბარგის დათვალიერებისას მებაჟე ოფიცრებმა ფსიქოტროპული პრეპარატი DOLORIN COLD — 16 აბი აღმოაჩინეს.

შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა ასევე გამოავლინეს ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი პრეპარატის KLIPAL CODEINE (7 აბი) შემოტანა, რომელიც 17 ივნისს „ვალეს“ ტერიტორიაზე თურქეთის მოქალაქე ა.გ.-ს შემოჰქონდა.

ორივე საქმე შემდგომი რეაგირებისთვის შსს-ს სამცხე-ჯავახეთის საპატრულო პოლიციის მთავარ სამმართველოს გადაეცა.

დაკავებულნი არიან თაღლითობის ბრალდებით

შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს ისანი-სამგორის მერვე განყოფილების თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1992 წელს დაბადებული ნინო კ. და 1988 წელს დაბადებული ანრი ჯ. თაღლითობის ბრალდებით დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ ნინო კ. სოციალური ქსელის საშუალებით, გარკვეული თანხის სანაცვლოდ, მამაკაცებს შეხვედრას სთავაზობდა, „აჭარაბეთის“ საკუთარ ანგარიშზე მათ სხვადასხვა ოდენობის თანხას წინასწარ არიცხვინებდა და თანამზრახველ ანრი ჯ-სთან ერთად ფულს თაღლითურად ითვისებდა. გამოძიებამ ასევე დაადგინა, რომ დაკავებულებმა 14 სხვადასხვა მოქალაქის კუთვნილი 775 ლარის ოდენობის თანხა მიითვისეს.

სამართალდამცველებმა ბრალდებულების საცხოვრებელი ბინიდან პორტატული კომპიუტერი ნივთმტკიცებად ამოიღეს. ორივე დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

ინტერპრესი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი საზოგადო მოღვაწე, აფხაზეთის ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენელი, გამოჩენილი მწერალი და ჟურნალისტი

ინდიკო კვეკვესკირი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

როლანდ გილიგაშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოხატავს, რომ უდროოდ გარდაიცვალა

ზაალ გიორგის ძე გველესიანი

და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 568 82-09-84.

◎ ინფორმაცია

ნავარო მართლმადიდებლად მოინათლა

ამერიკის დემოკრატიული ინსტიტუტის NDI-ს თბილისის-ოფისის ხელმძღვანელი **ლუის ნავარო** რამდენიმე დღის წინ ქვემო ბეთლების ეკლესიაში ტაძრის წინამძღვარმა **მამა ალექსანდრემ (ბოლქვაძე)** მართმადიდებლად მონათლა.

ნავაროს ნათლია „ქრისტიან-დემოკრატების“ ყოფილი ლიდერი **გიორგი თარგამაძეა.** როგორც მოძღვარმა ტაძარში წირვის შემდეგ ქადაგებისას განაცხადა, **ნავაროს** ნათლობის სახელი **დავითია.** მამა ალექსანდრეს განცხადებით,ნათლობისას ნავარომ მას უთხრა, რომ არსად უნახავს ისეთი სითბო და სიყვარული, როგორიც საქართველოშია. მისთვის მისაღები და ეშმარიტია ის იდეოლოგია, რომელიც ქართველ ხალხს გააჩნია, რომ მისი სამშობლო **პერუ** ძალიან ჰგავს საქართველოს და ნავაროს სურვილია, რომ გარდაცვალების შემდეგ საქართველოში დაიმარხოს.

იმედია, მართლმადიდებლობა კიდევ უფრო პატიოსანს გახდის ბატონ ლუის ნავაროს, როგორც პოლიტიკოსს.

◎ ფსიქოლოგიური პრაქტიკუმი

„მილიონი პეპლის გულმკერდში ფარფატი“

ყოველ დაბადების დღეზე, ახლობელ-ნათესავებისა და მეგობრების წრეში, საზეიმო სუფრასთან მსხდომნი, ჩვენ ხშირად სანუკვარ ოცნებათა შესრულებას ვნატრობთ. მერე კი მთელი წლის მანძილზე გულის ფანცქალით ველით – იქნებ, ღმერთმა ინებოს და ნანატრი აგვისრულდეს... არადა, ცოტა ვინმე თუ უკვირდება იმას, რომ ის, შესრულდება თუ არა ჩვენი ნატვრა, დიდწილად ისევ ჩვენზევეა დამოკიდებული.

ოცნების ცნებანი

ოცნებათა შესრულების ტექნოლოგიები ფსიქოლოგიასა და ეზოთერიას შორის გამავალ თვალით უხილავ, ძნელად შესამჩნევ მიჯნაზე გადის, რომლებიც დიდწილად ნეიროლინგვისტური პროგრამირების მეთოდებს ეფუძნება. ზეიმი სწორედ ის დროა, როცა თავისუფლად შეიძლება „ნატვრათა ახდენის“ ხელოვნების დაუფლების დაწყება. აქ, ისევე, როგორც მრავალ სხვა საქმეში, გარკვეული წესები, ლამის ცნებებია, რომელთა მიყოლა გარკვეულ ცოდნას საჭიროებს.

ნურც სხვებს, ნურც საკუთარ თავს თუ მოატყუებთ. ჰკითხეთ საკუთარ თავს, თუ რა გსურთ სინამდვილეში და ნატვრას საფუძვლად მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი სურვილი დაუდეთ მაშინაც კი, თუკი იგი ძირეულად განსხვავდება თქვენი ახლობლების მისწრაფებებისა და სურვილებისაგან.

დიდი საქმეების კეთებას ეცადეთ. „ბედს არ უყვარს პატარა-პატარა გასაჭირები“, – ამბობდა ჯორდანო ბრუნო. დიდი ნატვრები ძალების წვრილმანებზე დაქსაქსვის საშუალებას არ მოგცემთ და მათ შესასრულებლად აუცილებელ კონცენტრირებას შეგაძლებინებთ.

იპოვეთ სიყვარული

მიჩნეულია, რომ სიყვარულზე ოცნება მაინცდამაინც ყმაწვილი ქალიშვილებისთვისაა დამახასიათებელი. მაგრამ, ყველამ ერთად სიმართლე რომ აღიაროს, მაშინ დედამიწის მთელი მოსახლეობის 90 პროცენტი – ხანდაზმულებიც, ბერბიჭებიც, შინაბრებიც, ცოლშვილიანები და გასათხოვრებიც გამოტყდებოდნენ, რომ **დღესდღეობითაც ჭეშმარიტი სიყვარულის შეხვედრაზე ოცნებობენ.** ამდენად, თუკი ნამდვილ სიყვარულზე ოცნებობთ, ამაში გასაკვირი არაფერია. აქედან გამომდინარე კი, ფსიქოლოგები გვარწმუნებენ, რომ ამ შემთხვევაში თქვენ სურვილის შესრულებასთან გაცილებით უფრო ახლოს ხართ, ვიდრე გგონიათ, რადგან მისგან სულ რამდენიმე ნაბიჯიღა გაშორებთ.

1-ლი ნაბიჯი. დაჯექით სარკის წინ, თვალები დახუჭეთ, სუნთქვა დაიმშვიდეთ და... თავი მეფედ ან დედოფლად წარმოიდგინეთ, რომელიც უმშვენიერეს სასახლეში ცხოვრობს. ეცადეთ, თვალნათლივ წარმოიდგინოთ, რომ დიდებულ სამოსელში გამოწყობილი ულამაზესი, ყველა ადამიანური ღირსებით შემკული პიროვნება ბრძანდებით, რომელსაც ყველა ეთაყვანება. შემდეგ თვალი გაახილეთ და გნებავთ, ხმამაღლა, გნებავთ, გულში წარმოთქვით: „მე სიყვარულის ღირსი ვარ!“.

მე-2 ნაბიჯი. გიყვარდეს – ნიშნავს გასცემდე. თუკი ორ ადამიანს ერთმანეთი უყვარს, მაშასადამე ერთმანეთისთვის მუდამ რაღაცის გაცემაში ეჯიბრებიან. ამიტომ სცადეთ და თქვენთვის მცირედი ვარჯიში მოიწყვეთ. ნაცნობებში თქვენთვის სიმპათიური რამდენიმე კაცი შეარჩიეთ, ვთქვათ, ხუთი ქალი და ხუთი მამაკაცი. შემდეგ კი როცა მარტო დარჩებით, ვთქვათ, დაძინების წინ, თითოეული მათგანი წარმოიდგინეთ – მათი სახეები, ჩაცმულობა, ერთიანად იერი და წარმოსახვაში რაღაც საჩუქრები უბოძეთ, რაღაც სიხარული მიანიჭეთ, შეიგრძენით მათი სიხარული. როცა გაჩუქებული სიხარულის გრძნობას სრულად შეიგრძნობთ, რომელსაც მთელ მსოფლიოში „მილიონი პეპლის გულმკერდში ფარფატს“ უწოდებენ, იცოდეთ, რომ თქვენ სიყვარულის გაგებას მიუახლოვდით.

მე-3 ნაბიჯი. ეცადეთ სხვადასხვა ადამიანებთან რაც შეიძლება მეტი ურთიერთობა იქონიოთ, თემა კი ნებისმიერი შეიძლება იყოს. გახსოვდეთ: **დედამიწის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა იმაზე ოცნებობს, რაზეც თქვენ,** თუმცა კი, სახლში ჯდომით საკუთარ სიყვარულს ნამდვილად ვერ შეხვდებით.

თავადვე შეძმენით საკუთარი კარიერა

თუკი კარიერის გაკეთება გსურთ, მაშასადამე, დიდ ადამიანებთან ერთი გზა გაქვთ. გახსოვდეთ: მსოფლიოს დაპყრობის სურვილიც კი სამსახურში კარიერის გაკეთების უბრალო ოცნებიდან იწყება. ამდენად, რჩეულთა კასტაში მოხვედრის სურვილი ოცნების შესრულების ძალას შეგმატებთ.

1-ლი ნაბიჯი. ყველაფერი შინაგანი განწყობის დალაგებით დაიწყეთ – წაიკითხეთ მასალები დიდი ადამიანების ცხოვრების შესახებ, გაიგეთ, როგორ მიაღწიეს მათ წარმატებას, ეცადეთ, ის მთავარი ნიშნები გამოყოთ, რომლებიც მათ წარმატების მიღწევაში დაეხმარა.

მე-2 ნაბიჯი. იღბლის მოსაზიდათ ეცადეთ ნაცნობთა წრე შეიცვალოთ. ყველა წარუმატებელი, წუწუნა ნაცნობი უყოყმანოდ მოიცილეთ, ოღონდ, ცხადია, ნუ აწყენინებთ. ეცადეთ, ისეთ ხალხთან იმეგობროთ, ვინც ცხოვრებაში ისეთ წარმატებას უკვე მიაღწია, რომელზეც თქვენ ჯერ კიდევ ოცნებობთ.

მე-3 ნაბიჯი. შეიყვარეთ სწავლა. კარიერაში წარმატებას მხოლოდ ისინი აღწევენ, ვისაც მკაცრ კონკურენტულ ბრძოლაში მეტი შესაძლებლობა აქვს, რომელთა მოპოვება მხოლოდ ცოდნის შეძენით შეიძლება. ამიტომ ახალი ცოდნის მიღების სურვილი დაუოკებელ გრძნობად უნდა გადაგექცეს.

„საკუთარ სულს მხოლოდ მორბენალი კაცი განავითარებს, – ამბობს კონფუცი, – ის კი, ვინც ჩერდება, სინამდვილეში გულგრილობის ქვესკნელში იჩეხება“.

ნინო ალექსანდრია

◎ მცირე ენციკლოპედია

ჩვენი ერთგული ბეღურები

კაცი არ არის ჩვენში, ალბათ, ბეღურები არ უყვარდეს. ზამთარ-ზაფხულ ისინი ხომ მუდამ ჩვენ გვერდით არიან და თავიანთი მხიარული ჟივჟივით არემარეს ახალისებენ.

ბეღურები ადამიანის გვერდით უხსოვარი დროიდან ცხოვრობენ თითქმის ყველა კლიმატურ ზონაში, რადგან გარემოსთან შეგუების გასაოცარი უნარი აქვთ: მიწათმოქმედების განვითარებას „მიყოლილმა“ ამ ციდა ჩიტმა უკიდურეს ჩრდილოეთამდეც კი მიაღწია. სხვა ფრთოსნებისგან განსხვავებით ბეღურები მართალია, მოხდენილ ბუდეებს ვერ აშენებენ, სამაგიეროდ, ჩინებული მშობლები არიან – შთამომავლობის გამოსაკვებად მამრები ძალ-ღონეს არ იშურებენ. ეს უდიდესი შრომაა, რადგან გაზაფხულიდან შემოდგომამდე ბეღურები რამდენიმე წყება ბარტყებს აფრთიანებენ, რის გამო დედალი დროის უმეტეს ნაწილს ბუდეში ატარებს.

სხვათა შორის, ბეღურები ხშირად სხვა ჩიტების ბუდეებს ეპატრონებიან, რაც ხშირად დიდი „ჩხუბით“ მთავრდება ხოლმე. მათი მთავარი მტრები კატები და ძერები არიან, თუმცა, ზოგან მათ ადამიანებიც არ ინდოებენ. კერძოდ, ჩინეთში ერთხანს ბეღურები ლამის ერთიანად გაწყვიტეს, თუმცა კი, ეს დაუფიქრებელი ნაბიჯი მერე თავში საცემი გაუხდათ, რადგან მომრავლებულმა მავნე მწერებმა, ბუნებრივი მტრის მოსპობის შემდეგ, ბრინჯის მოსავალი თითქმის მთლიანად გაანადგურეს და ქვეყანამ იმხელა ზარალი ნახა, რომ მერე ბეღურების მოშენებასაც კი მიჰყვეს ხელი. ბეღურის ორი სახეობაა – ქალაქის ბეღურისგან განსხვავებით მინდვრის ბეღურა უფრო პატარაა, სამაგიეროდ, ბუნებამ იგი გაცილებით მდიდრულად შეფერილი შექმნა.

რასაცა შეჭამ...

აღმოჩნდა, რომ კვების პროდუქტები ჩვენი სხეულის მიერ გამოყოფილ სუნზე გავლენას ახდენენ.

ინდოელმა მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ნივრის, ხახვის, კარისა და სხვა მძაფრი პროდუქტების მიღება ორგანიზმში გოგირდის შემცველობას ზრდის, რაც სუნთქვასთან და ოფლთან ერთად მის გამოყოფას უწყობს ხელს. მოჭარბებულ ოფლიანობას იწვევს ასევე მუქი ხორცი, რადგან ორგანიზმი მის გადამუშავებას დიდ ენერგიას ახმარს, რაც ოფლის გამოდენას აძლიერებს.

ცხიმიან და ტკბილ საჭმელს ორგანიზმი ჩვეულებრივზე დიდხანს ინელებს. ოფლის გამოყოფას უნახშირბადო რაციონი უწყობს ხელს, რა დროსაც უსიამო სუნის მქონე კეტონები თავისუფლდება.

ცილებით მდიდარი რძის პროდუქტების აქტიური მოხმარებაც კი საჭმლის მონელების სისტემას ტვირთავს, რითაც გოგირდწყალმადისა და მეთილმერკაპტანის გამოყოფას აძლიერებს, რომლებსაც ასევე ცუდი სუნი აქვთ.

◎ კადრი



◎ ცინცხალი ანეკდოტები

– თქვენს ბანკში ანგარიშის გახსნა მინდა, – ეუბნება ტიპი ბანკის თანამშრომელს, – ვის მივმართო?

– ფსიქიატრს.

* * *

ძალიან ძნელია ოფისში მუშაობა.

ჯერ ერთი – ხმაურია, რის გამოც ყურადღების კონცენტირება ჭირს.

– მეორეც – ერთთავად ხელს გიშლიან და გთხოვენ, ნუ ხვრინავო.

* * *

მოხუცი ებრაელი კუპეში ლამაზ ახალგაზრდა ქალთან ერთად მგზავრობს.

დროგამოშვებით იგი თვალს შეავლებს ხოლმე ლამაზმანს, მერე კედლისკენ მიბრუნდება და „ფუიო“ დაიძახებს.

ბოლოს და ბოლოს, ქალს ეს მოსწყინდება და ეკითხება:

– საინტერესოა, „ფუს“ რომ ამბობთ, ვის გულისხმობთ?

– პატიოსან სიტყვას გაძლევთ, თქვენ არ გგულისხმობთ, ქალბატონო. უბრალოდ, მუდამ, როდესაც ლამაზ ქალს ვხედავ, ჩემი ცოლი მახსენდება. ფუი!

* * *

– გესმის, დობილო, აი, წერენ, რომ ჭკვიანი ებრაელი ცოლი, როდესაც ქმარს მივლინებაში სტუმრებს, მას ჯიბეში ჩუმად უდებს პრეზერვატივს. შენ ჩაუდებდი?

– რა თქმა უნდა, ჩემო კარგო. მაგრამ ჯერ შიგნიდან წიწაკას წავუსვამდი.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა სარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24